მედიაგარემო საქართველოში

2020

Media Advocacy Coalition

კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

კოალიციამ “მედიის ადვოკატირებისთვის” „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით მოამზადა ხუთი მიმოხილვა საქართველოს მედიაგარემოსთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებზე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისას. დოკუმენტების მიზანია იმ სამართლებრივი და პოლიტიკური ბარიერების იდენტიფიცირება, რომლებიც აფერხებდნენ მედიის მუშაობას 2020 წლის საარჩევნო პროცესებში.

მიმოხილვები ეფუძნება სამაგიდო კვლევას და ექსპერტებთან და მედიის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს. მასალა მომზადდა წინასაარჩევნო პერიოდში, თუმცა მოგვიანებით განახლდა არჩევნების შემდგომი მოვლენების გათვალისწინებით.

თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ მასალებს:

შეჯამება	გვ.1
მიმოხილვა #1: კომუნიკაციების კომისიის გამოცდილება: რა ელოდება მაუწყებლებს?	გვ.2-7
მიმოხილვა #2: საინფორმაციო უსაფრთხოება,დეზინფორმაცია და პროპაგანდა: საქართველოს მთავრობა მცდარად განმარტავს საფრთხეებს	გვ.7-14
მიმოხილვა #3: საზოგადოებრივი მაუწყებელი საქართველოში: ვის ემსახურება იგი - საზოგადოებრივ ინტერესს თუ მთავრობას?	გვ.15-20
მიმოხილვა #4: უსაფრთხო მედიაგარემოსა და ჟურნალისტების თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფა 2020 წლის არჩევნების პერიოდში	გვ.21-28
მიმოხილვა #5: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - გადაუჭრელი პრობლემა ქართველი ჟურნალისტებისთვის	გვ.29-31

მოკლე შეჯამება

მედიაგარემო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პლურალისტული, თუმცა პოლარიზებული იყო. მედიის თავისუფლების გამოწვევებს შორის გამოიკვეთა ისეთი საკითხები, როგორებიცაა ჟურნალისტების მიმართ ძალადობა, დამოუკიდებელ და კრიტიკულ მედიაზე ზეწოლა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარვეზები.

წინასაარჩევნო პერიოდში ჟურნალისტებზე ძალადობის და მათი დაშინების, საჯარო პირების და პოლიტიკოსების მხრიდან მედიის რეპუტაციის შელახვის არაერთი შემთხვევა გამოვლინდა. არჩევნების დღეს, ასევე არჩევნების სავარაუდო გაყალბებასთან დაკავშირებული საპროტესტო აქციების გაშუქების დროს ჟურნალისტების უსაფრთხოებასთან და სამუშაოს დაუბრკოლებლად შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები შეშფოთების საგანი გახდა მედიის დამცველებისთვის.

ზოგიერთი სამთავრობო უწყებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლის მხრიდან ჟურნალისტებისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეებს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდათ ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდში და მით უფრო, კოვიდ 19-ით გამოწვეული სიტუაციის გათვალისწინებით, მთავრობის მხრიდან პოლიტიკური ნება, მედიის წარმომადგენლებისთვის დროულად და ეფექტიანად მიეწოდებინათ ინფორმაცია და გაეუმჯობესებინათ კომუნიკაცია ჟურნალისტებთან, არ შეიმჩნეოდა.

კომუნიკაციების კომისიას არ მიუღია სადავო გადაწყვეტილებები მაუწყებლების საქმიანობასთან დაკავშირებით წინასაარჩევნო პერიოდში. ეს შეიძლება მივაწეროთ წინასწარ დაგეგმილ სტრატეგიას, რომლის მიზანი წინასაარჩევნო პერიოდის მშვიდობიანად ჩატარება იყო. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თვლიან, რომ მარეგულირებლის გადაწყვეტილებები პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალი დიდხანს ვერ დარჩება.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა გასული წლის განმავლობაში დაგვანახა, რამდენად მყიფეა საზოგადოებრივი მედია საქართველოში. მას კიდევ გასავლელი აქვს რეფორმების გზა, რომ სათანადოდ ემსახუროს საზოგადოებრივ ინტერესს.

საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემის სისუსტე ქვეყანას რუსეთიდან მომავალი საფრთხეების წინაშე მოწყვლადს ხდის. მთავრობა, როგორც ჩანს, არასწორად აფასებს ჭეშმარიტ საფრთხეებს და ამჯობინებს კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიებისკენ, როგორც დეზინფორმაციის წყაროსკენ მიმართოს რესურსები.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც მხარს უჭერენ მედიის პლურალიზმს და თავისუფლებას, სჯერათ, რომ საქართველოში, დამოუკიდებელი მედია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მთავრობისა და პოლიტიკოსების ქმედებების ზედმიწევნით გაკონტროლებაში, რათა ისინი უფრო მეტად ანგარიშვალდებულნი და გულისხმიერნი გახადონ მოქალაქეების მიმართ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასევე აცნობიერებენ, რომ არსებობს ეთიკური პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქართული მედიის მუშაობაზე, თუმცა ფიქრობენ, რომ ამგვარი პრობლემები უნდა მოგვარდეს თვით-რეგულაციითა და შესაბამისი პროფესიული გაერთიანებების ჩართულობით.
აუცილებელია, საქართველოს მედიაგარემოზე საერთაშორისო დამკვირვებლებმა მომავალშიც განაგრძონ მონიტორინგი და კრიტიკული ხედვების მოწოდება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, - საერთაშორისო ორგანიზაციებმა და დონორებმა განაგრძონ ქართული მედიის მხარდაჭერა.

მიმოხილვა #1: კომუნიკაციების კომისიის გამოცდილება: რა ელოდება მაუწყებლებს?

მოკლე შეჯამება

კომუნიკაციების კომისია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში მედიაგარემოს ჩამოყალიბებაში. მარეგულირებლის, როგორც პოლიტიკურად მიკერძოებული რეპუტაციის მქონე აქტორის, მიდგომები და გადაწყვეტილებები იშვიათად რჩება განხილვის მიღმა. თუმცა, მისი უმოქმედობა 2020 წლის საპარლამენტო პერიოდში შესაძლოა მიანიშნებდეს წინასწარ დაგეგმილ სტრატეგიაზე, რომლის მიზანი იყო საარჩევნო პერიოდის მშვიდობიანად ჩატარება. მეორეს მხრივ, აშკარაა, რომ კომუნიკაციების კომისია ცდილობს მისი გავლენის გაძლიერებას, და ამდენად, მისი გადაწყვეტილებები პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალი დიდხანს ვერ დარჩება.

კონტექსტი

კომუნიკაციების კომისია წარმოადგენს მთავარ მარეგულირებელ ორგანოს მაუწყებლობისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში. იგი დაარსდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ფინანსდება სალიცენზიო და ავტორიზაციის მოსაკრებლებიდან. მისი მოვალეობაა გააძლიეროს კონკურენცია საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის ბაზრებზე, უზრუნველყოს მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და გამჭვირვალე და სამართლიანი მარეგულირებელი გარემო.[1] კომისია ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის, მთავრობისა და პარლამენტის წინაშე.

მიუხედავად პოლიტიკური ან სახელმწიფო ჩარევისგან მისი ფორმალური დამოუკიდებლობისა, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის, „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონებით, კომუნიკაციების კომისია თავიდანვე ხშირად ექცეოდა კრიტიკის ქვეშ მისი მიკერძოებულობისა და არაეფექტური გადაწყვეტილებების გამო.[2][3][4] კომისიის წევრებს ხშირად ადანაშაულებდნენ პოლიტიკოსებთან კავშირებსა და მათთან საეჭვო საქმიან გარიგებებში. მხოლოდ დროის მოკლე პერიოდი იყო გამონაკლისი (2014 და 2015), როდესაც კომისიამ დადებითი შეფასება მიიღო მისი მუშაობისთვის. მარეგულირებელმა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისგან ქება დაიმსახურა[5] კარგი ხელმძღვანელობის გამოვლენის გამო, რაც ძირითადად ეხებოდა პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღებას და მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გადაწყევტილების მიღების პროცესში, როდესაც იგი ხელმძღვანელობდა ქვეყანაში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას. ეს პერიოდი დაემთხვა მთავრობის შეცვლას საქართველოში, რამაც საშუალება მისცა მარეგულირებელს დროებით გაეთავისუფლებინა თავი

[1] კომუნიკაციების კომისიის შესახებ. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2D9nWP9

[2] "აუდიოჩანაწერი აშუქებს წამყვან მედია საშუალებებისა და ტელეკომუნიკაციების მარეგულირებლებს შორის ინტერესთა კონფლიქტს." საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 12, ნოემბერი, 2012. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3f92WWt

[3] მედიის გავლენის მატრიცა, საქართველო. CEU's Center for Media, Data and Society (CMDS). 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2BMmXE1

[4] "დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომიტეტის დასკვნები საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მუშაობის შესახებ." 7 მარტი, 2014. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2ZVANvJ

[5] მიქაშავიძე, მაია. (2016) "მედიის მარეგულირებელი ორგანოების სისტემური კომპეტენციის განვითარება საქართველოში: საჭიროებების იერარქია." ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. ხელმისაწვდომია https://bit.ly/38Kx9Zt

პოლიტიკური კონტროლისგან. დიდი როლი შეასრულა აგრეთვე კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც შესძლო ურთიერთობის დარეგულირება მთავრობასთან.[6][7][8][9] ამასთან ერთად, 2013 წლიდან, კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის“ წამოჭრა საკითხი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, კომისიის თავმჯდომარე უნდა არჩეულიყო თვით კომისიის მიერ ფარული კენჭისყრის საფუძველზე. მანამდე, თავმჯდომარეს ნიშნავდა პრეზიდენტი და იგი ირჩეოდა კომისიის წევრებისგან. 2014 წელს ასევე ხელი მოეწერა საქართველო-ევროკაშირის ასოცირების შეთანხმებას, რომლის შემდეგ ქვეყანამ აიღო ვალდებულება კანონები შესაბამისობაში მოეყვანა აუდიო-ვიზუალური მედია სერვისების შესახებ ევროკავშირის დირექტივებთან.[10]

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე კომისია მისი პოლიტიკითა და გადაწყვეტილებებით ცდილობს გააჩუმოს კრიტიკული და დამოუკიდებელი მედია გარკეეული პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ.[11][12] სამოქალაქო საზოგადოება და მედიის დამცველები ხშირად გამოთქვამენ წუხილს იმის გამო, რომ ისინი არ არიან სათანადოდ ჩართულები განხილვებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა, კომუნიკაციების კომისიის შემოსავლებისა და ხარჯების გამჭვირვალობა ასევე პერიოდულად ბადებს კითხვებს. [13][14]

კომუნიკაციების კომისიის სადავო გადაწყვეტილებები წინასაარჩევნო პერიოდებში 2016 - 2019 წწ

კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებები 2016-2019 წლების წინასაარჩევნო პერიოდებში „შერჩევით“ და „არათანმიმდევრულ“ ხასიათს ატარებდა.[15][16] მარეგულირებელმა არაერთხელ წამოიწყო საქმე სასამართლოში სხვადასხვა მაუწყებლისა და ინტერნეტმედიის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის გამოქვეყნების პროცედურების დარღვევების გამო.[17] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ მარეგულირებლის მიდგომა იყო „შერჩევითი“ და მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი მაუწყებლები უფრო მძიმე სასჯელს იღებდნენ. რაც შეეხება ინტერნეტმედიას, კომუნიკაციების კომისია არ არის უფლებამოსილი

---

[6] მედიის გავლენის მატრიცა, საქართველო. CEU's Center for Media, Data and Society (CMDS). 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2BMmXE1

[7] მედიის მდგრადობის ინდექსი, 2014. IREX. ხელმისაწვდომია https://bit.ly/38FeRJ4

[8] პრესის თავისუფლება, 2014. Freedom House. ხელმისაწვდომია https://bit.ly/31kSCpi

[9] პრესის თავისუფლება, 2015. Freedom House. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2W2Ji70

[10] მედიის მდგრადობის ინდექს, 2016. IREX. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3iJRcfb

[11] “მარეგულირებელმა კომისიამ არ უნდა დაარეგულიროს სიძულვილის ენა.” საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 20 ივნისი, 2019. ხელმისაწვდომი https://bit.ly/3o2Kgg5

[12] “2019 წლის ანგარიშები -საქართველო: ადამიანის უფლებების შესახებ.” აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი. დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის დაცვის ბიურო. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3k1GBgz

[13] “გამჭვირვალობის პრობლემები საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის საქმიანობაში“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 9 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3gSKS3k

[14] “საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის მიერ გადახდილი ბონუსები.“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 8 მაისი, 2013. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34cc21C

[15] მედიის მდგრადობის ინდექსი 2018. IREX. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2DmY6Hi

[16] “2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგი საქართველოში. წინასაარჩევნო, არჩენების დღის და არჩენების შემდგომი მონიტორინგის ანგარიში.“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2019. ხელმისაწვდომიაhttps://bit.ly/30kCu7v

[17] მედიის მდგრადობის ინდექსი 2017. IREX. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2Xe06Zj

არეგულიროს ონლაინმედია წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამასთან ან საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.[18][19]

2018 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადგილი ჰქონდა კანონის („მაუწყებლობის შესახებ“) წინააღმდეგობრივ ინტერპრეტაციას, როდესაც კომუნიკაციების კომისიამ მოსთხოვა მაუწყებლებს პოლიტიკური რეკლამების შინაარსის მონიტორინგი, მიუხედავად იმისა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი მათ ამას არ ავალდებულებდა.[20][21]იმავე წელს, მარეგულირებელმა ბრალი დასდო რამდენიმე მაუწყებელს კანონის დარღვევაში, რაც პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვებას უკავშირდებოდა, რომელიც, მარეგულირებლის განცხადებით, ატარებდა არაეთიკურ შინაარსს და ამდენად უკანონო იყო. ამის შემდეგ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მარეგულირებლის გადაწყვეტილებები ბუნდოვანი და მიკერძოებული იყო.[22] 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში, მარეგულირებელმა საქმე წამოიწყო რამდენიმე ტელეკომპანიის სოციალური და პოლიტიკური ტოქშოუს წინააღმდეგ. მარეგულირებელი აცხადებდა, რომ ეს ტოქშოუები არ აკმაყოფილებდნენ წინასაარჩევნო დებატის ფორმატს. მაუწყებლებმა განაცხადეს, რომ მათ ვერ შეძლეს წინასაარჩევნო დებატების ჩატარება განსაზღვრული ფორმატის შესაბამისად, რადგან კანდიდატების ნაწილი არ იღებდა მონაწილეობას დებატებში.

წინააღმდეგობრივი სამართლებრივი ინიციატივები 2018, 2019 და 2020 წლებში

ბოლო სამი წლის განმავლობაში მარეგულირებლის ზოგიერთმა სამართლებრივმა ინიციატივამ შეაშფოთა მედია და სამოქალაქო საზოგადოება, რადგანაც მედიის თავისუფლებას და მაუწყებლების, როგორც დამოუკიდებელი და მდგრადი ორგანიზაციების ფუნქციონირებას საფრთხე დაემუქრა. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა იყო 2019 წლის კანონპროექტი აუდიო-ვიზუალური მედიასერვისების შესახებ, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა საქართველოს არსებული კანონი „მაუწყებლობის შესახებ“. მედიის წარმომადგენლებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გაახმოვანეს თავიანთი შეშფოთება შემოთავაზებულ მექანიზმში ეთიკური დარღვევების გადაჭრის საკითხებზე, რაც უფლებამოსილს ხდიდა კომუნიკაციების კომისიას, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს და ასევე სასამართლოს დაერეგულირებინა მედიის კონტენტი.[23][24] კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ მიიჩნევს, რომ რადგანაც ზოგიერთი მედიასაშუალების ეთიკა და პროფესიონალიზმი აჩენს კითხვებს, საჭიროა ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც გააძლიერებს თვითრეგულირების მექანიზმებს მარეგულირებლისგან დამოუკიდებლად, მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის გარეშე.

---

[18] “საია ასაჩივრებს ბეჭდური და ონლაინ მედიისთვის დაწესებულ აკრძალვას გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი აზრის კვლევები კონსტიტუციურ სასამართლოში.“ საია. 2 აპრილი, 2020. ხელმისაწვდომიახელმისაწვდომიαhttps://bit.ly/334F3fC

[19] “მედიის მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოქვეყნება საფრთხის წინაშეა.“ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 30 ოქტომბერი, 2017. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3f8qNF4

[20] მედიის მდგრადობის ინდექსი 2019. IREX. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3iKKwh1

[21] “საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება არჩევნებში.“ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 3 ოქტომბერი, 2018. ხელმისაწვდომია https://bit.ly/390aYP3

[22] “ადმინისტრაციული რესურსის არასათანადოდ გამოყენება საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.” საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 23 ოქტომბერი, 2018. ხელმისაწვდომიαhttps://bit.ly/2Cf1J1t

[23] “საქართველოს ეროვნულმა კომუნიკაციების კომისიამ არ უნდა არეგულიროს სიძულვილის ენა.” საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 20 ივნისი, 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3fdsZvz

[24] კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის.“ განცხადება. 14 ივნისი, 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2ZwLN3G

2018 წელს კომუნიკაციების კომისიამ თავმჯდომარემ ღიად დაუჭირა მხარი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შემოთავაზებულ[25] ცვლილებებს, რომლებიც უფლებას აძლევდა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს შეესყიდა მედიაპროდუქტები ან სერვისები საჯარო ტენდერების გარეშე და გაეზარდა საეთერო დრო რეკლამის და სპონსორობისთვის[26] ამ ცვლილებების მიღებამდე, კანონპროექტი მძაფრი კრიტიკის ქვეშ მოექცა სამოქალაქო საზოგადოების, მედიის სფეროს წარმომადგენლების, ზოგიერთი პოლიტიკოსის და პრეზიდენტის მხრიდან. პრეზიდენტმა ვეტოც კი დაადო კანონპროექტს.[27][28] აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების კომისიის მარეგულირებელმა განაცხადა, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი ინტერესის უკეთ მომსახურება.[29] არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ კომისიამ გადააბიჯა მისი უფლებამოსილების ზღვარს.

2019 წლის ბოლოს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წამოაყენა ინიციატივა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვით დასაშვები იქნებოდა თავმჯდომარის მეორე ვადით არჩევა. მანამდე, თავმჯდომარე ირჩეოდა მხოლოდ სამწლიანი ვადით. სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის აზრით, ეს იყო წინასწარგანზრახული გადაწყვეტილება, რომელიც არსებულ თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადას გაუგრძელებდა საარჩევნო წლის განმავლობაში.

2020 წლის ივლისში, ოქტომბრის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, კომუნიკაციების კომისიამ[30] წამოაყენა წინადადება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ცვლილება უფლებამოსილებას მიანიჭებდა კომუნიკაციების კომისიას დაენიშნა ეგრეთ წოდებული „სპეციალური მმართველი“ სატელეკომუნიკაციო ოპერატორ კომპანიებში, მათ შორის იმ მაუწყებლებშიც, რომლებიც თავად არიან სატელეკომუნიკაციო ოპერატორები; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მაუწყებლები და ტელეკომუნიკაციების სფეროს წარმომადგენლები შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ კომუნიკაციების კომისიას ექმნებოდა ბერკეტი და გავლენა მედიების სარედაქციო პოლიტიკაზე, მედიის მიერ რეკლამის გავრცელებაზე, ინტერნეტზე, სარეკლამო მომსახურებებზე და ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დასაქმება და შრომითი უფლებები სატელეკომუნიკაციო და სამაუწყებლო კომპანიებში.[31][32] წარმოდგენილ წინადადებაში ასევე არ იყო სათანადოდ გაწერილი გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.

[25] “საზოგადოებრივი მაუწყებელი საჭიროებს რეკლამას.“ IPRESS.ge. 19 მარტი, 2018. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2Zzub7n
[26] მედიის მდგრადობის ინდექსი 2019. IREX. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2Onhw0F
[27] ფულერი, ლიზ. (2018) “საქართველოს პრეზიდენტი ვეტოს ადებს კანონში მაუწყებლობის შესახებ წინააღმდეგობრივი ცვლილებების შეტანას.“ რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია https://bit.ly/30fcl8B
[28] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი. დემოკრატიის ადამიანის უფლებების და შრომის დაცვის საკითხთა შემსწავლელი ბიურო „2018 წლის ანგარიში ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში.“ ხელმისაწვდომიაhttps://bit.ly/2EAFV11
[29] მედიის მდგრადობის ინდექსი 2019. IREX. ხელმისაწვდომიაhttps://bit.ly/2Cty8kL
[30] “საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის მიერ ინიცირებული კანონპროექტი საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლებას.“ საია. 7 აგვისტო , 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3fqOjOc
[31] “მედიის ადვოკატირების კოალიცია: შემოთავაზებული ცვლილებები გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვების რისკს ქმნიან.” კოალიცია. “მედიის ადვოკატირებისთვის“ 7 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3eFlmwM
[32] “მეთიუ ბრაიზა: ვშიშობ, რომ „მაუწყებლის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები შესაძლოა მიმართული იყოს კავკასუს ონლაინზე“. Interpressnews.ge. 16 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3h6mQCa

ამ ინიციატივის მიმართ მაუწყებლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების წარმომადგენლების წინააღმდეგობის შედეგად[33] ჩამოყალიბდა პირვანდელი წინადადების მოდიფიცირებული ვერსია.[34] როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აცხადებენ, არსებობს მხოლოდ მცირედი შანსი იმისა, რომ მიმდინარე რედაქციით მიღებული კანონი გამოყენებული იქნას მაუწყებლების წინააღმდეგ.

მედიაგარემოს სხვა შესაძლო გამოწვევები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე და მას შემდეგ

მედიის წარმომადგენლებთან ამ მიმოხილვისთვის ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ისინი მარეგულირებლის ქცევაში „მოულოდნელ ცვლილებას“ ხედავენ. მაუწყებელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათ არ მიუღიათ გაფრთხილება ან რაიმე სანქციები კომუნიკაციების კომისიისგან წინასაარჩევნო პერიოდში. როგორც ჩანს, მარეგულირებელი იცავს ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) რეკომენდაციებს. თუმცა, კომუნიკაციების კომისიას მაინც გააჩნია ბერკეტები მედიასთან მიმართებაში.

სავალდებულო სოციალური რეკლამა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ავალდებულებს მედიას დაუთმოს ეთერი სოციალურ რეკლამას. ეს გახლავთ მაუწყებლის მიერ გაწეული უფასო მომსახურება, რომლის მიზანია საზოგადოებრივი ინტერესის წარმოჩენა. მაუწყებლები და მედია ექსპერტები ვარაუდობდნენ სარეკლამო მასალაში პოლიტიკური შინაარსის გაპარვას.[35][36] წლების მანძილზე, იზრდებოდა შეშფოთება ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების მხრიდან[37] იმის თაობაზე, რომ მმართველი პარტია ბოროტად იყენებდა აღნიშნულ ნორმას თავის სასარგებლოდ. მაუწყებლებს არ აქვთ უფლება კანონით უარი თქვან ამ რეკლამების ეთერში გაშვებაზე, მაშინაც კი როცა საქმე კონტენტს ეხება. უფრო მეტიც, მაუწყებელთა მიერ კანონის დაცვას მეთვალყურეობას უწევს კომუნიკაციების კომისია.

Mediacritic.ge.

2019 წლის დეკემბერში, არაკომერციულმა უწყებამ „მედია აკადემია“, რომელიც დაარსებულია კომუნიკაციების კომისიის მიერ,[38] დაიწყო მედიაკრიტიკის პლატფორმის მართვა,[39] რომელიც მოქმედი და ყოფილი ჟურნალისტებით და მედია მენეჯერებით დაკომპლექტდა. ისინი აანალიზებენ მედიაში არსებულ ტენდენციებს. პლატფორმის შინაარსის გადახედვა მოწმობს, რომ იგი ძირითადად ეყრდნობა ქვეყანაში არსებული კრიტიკული და დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების დაგმობას. ავტორები ხშირად აკრიტიკებენ ტელეკომპანიებს

[33] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნა. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2JxYPZ7

[34] ნარიმანიშვილი, ნინო (2020) „რა შემთხვევაში დაინიშნება სპეციალური მმართველი - კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღეს.“ Mediachecker.ge. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3fRQ8UZ

[35] ქევანიშვილი, ეკა. (2011) “სოციალური რეკლამა თუ წინასაარჩევნო კამპანია?” რადიო თავისუფება. ხელმისაწვდომია https://bit.ly/37nyGWY

[36] “კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის,“ არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია საზოგადოება განცხადებას აკეთებენ „მაუწყებლის შესახებ“ კანონში სოციალურ რეკლამასთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის თაობაზე.“ კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის.“
5, 2014. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34hmJQJ

[37] გიორგი მელაძე. (2011) “რეკლამის მონიტორინგი ქართულ მედიაში.” მედიის განვითარების ფონდი. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3m8xM4N

[38] “კომუნიკაციების კომისიის წლიური ანგარიში. (2018). ხელმისაწვდომია https://bit.ly/2HnVWJ9

[39]მედიაკრიტიკის პლატფორმა. https://bit.ly/2FHmqF6

„მთავარი არხი“, „ფორმულა“ და „ტელეკომპანია პირველი“[40] ზოგიერთ სიუჟეტში აგრეთვე კიცხავენ ისეთი სანდო ონლაინ მედიასაშუალებების მუშაობას, როგორიცაა “ნეტგაზეთი” და „on.ge“. ამასთანავე, ავტორები თითქმის არ იხსენიებენ ისეთ ონლაინ საინფორმაციო სააგენტოებსა და სამაუწყებლო მედიას, რომლებიც ეწევიან ანტიდასავლურ პროპაგანდას. [41]

ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ბავშვთა უფლებების კოდექსში“ შესული ცვლილება (რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 სექტემბერს), უფლებას აძლევს კომუნიკაციების კომისიას არეგულიროს სამაუწყებლო მედიის შინაარსი მცირეწლოვანთა ინტერესების გათვალისწინებით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აცნობიერებენ ბავშვთა უფლებების და ინტერესების დაცვის საჭიროებას; თუმცა, მუხლი, რომელიც ეხება მავნე ზეგავლენას ზოგადი და ბუნდოვანია, რამაც შესაძლოა კომუნიკაციების კომისიას გაუჩინოს ბერკეტი, რომლითაც ის მოახერხებს შეზღუდოს მაუწყებელთა სარედაქციო დამოუკიდებლობას.[42]

დასკვნა

წინასაარჩევნო პერიოდი გვაჩვენებს, რომ კომუნიკაციების კომისია თავს იკავებს ისეთი ზომების მიღებისგან, რომლებიც მას არასახარბიელოდ წარმოაჩენს. ამგვარი გადაწყვეტილების მიზანია წინასაარჩევნო პერიოდის მშვიდად ჩატარების უზრუნველყოფა. თუმცა, ზემოთ მოყვანილი პრობლემები კვლავ გადაუჭრელი რჩება. ეს ტენდენციები უქმნის მოლოდინს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომ კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებები არჩევნების შემდეგ აღარ იქნება თავისუფალი პოლიტიკური ზეგავლენისგან.

[40] “ბრძოლა „შიდა მტრერთან“ და კოჰაბიტაცია რუსულ პროპაგანდასთან.” მედიის განვითარების ფონდი. 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2Dx4r2Z

[41] Ibid.

[42] “მაუწყებლებისთვის დღეს ამოქმედებული საკანონმდებლო ნორმები ცენზურაა და არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს.” საქართველოს დემოკრატიის ინიციატივა. 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3iI2boU

მიმოხილვა #2: საინფორმაციო უსაფრთხოება, დეზინფორმაცია და პროპაგანდა: საქართველოს მთავრობა მცდარად განმარტავს საფრთხეებს

მოკლე შეჯამება

საქართველოში რუსეთი პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გამავრცელებლად აღიქმება. მისი ქმედებები ძირს უთხრის პოლიტიკურ სტაბილურობას, ასუსტებს ეროვნულ ერთიანობას და საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნის სწრაფვას დასავლეთისკენ. კრემლი იყენებს ტრადიციულ და სოციალურ მედიას დეზინფორმაციის იარაღად, აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაციებს და ფონდებს რუსეთის მხარდამჭერი განწყობების გასავრცელებლად, ახორციელებს კიბერშეტევებს საქართველოში. სამოქალაქო საზოგადოება და მედიაორგანიზაციების მცირე ნაწილი ცდილობენ დაგეგმონ სხვადასხვა აქტივობები რუსულ დეზინფორმაციასთან გასამკლავებლად. საქართველოს მთავრობის მუშაობა ამ მიმართულებით სუსტია. ქვეყანას არ გააჩნია მყარი საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემა, რომელიც წინ აღუდგება კიბერშეტევებს მტრულად განწყობილი მეზობლისაგან. ამასთან, სამთავრობო უწყებების სტრატეგიული კომუნიკაცია, რომელთა მიზანი უნდა იყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რუსული პროპაგანდის საშიშროებებისა და დეზინფორმაციის მიმართ, არათანმიმდევრულია. გარდა ამისა, სამთავრობო უწყებები და პოლიტიკოსები არასწორად აფასებენ ჭეშმარიტ საფრთხეებს და ამჯობინებენ ეჭვქვეშ დააყენონ კრიტიკული და დამოუკიდებელი მედია და „დეზინფორმაციის“ წყაროდ მოიხსენიონ ისინი. ეს კი აძლიერებს საზოგადოების უნდობლობას აღნიშნული საინფორმაციო საშუალებების მიმართ. ადგილობრივი პროპაგანდა სოციალურ მედიაში კიდევ ერთი გამოწვევაა ქვეყნისთვის. მმართველი პარტიისა და მისი მთავარი მოწინააღმდეგე ოპოზიციური პარტიის ფარულ სამიზნეს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება წარმოადგენს, რისთვისაც, როგორც ჩანს, მმართველი პარტია უფრო მეტ რესურსს ხარჯავს.
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მხარს უჭერენ მედიაპლურალიზმს და თავისუფლებას და სჯერათ საქართველოში, კრიტიკული მედიასაშუალებები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. ისინი ზედმიწევნით აკონტროლებენ მთავრობისა და პოლიტიკოსების ქმედებებს, რათა უფრო მეტად ანგარიშვალდებულები და გულისხმიერნი გახადონ მოქალაქეების მიმართ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ასევე აცნობიერებენ, რომ არსებობს ეთიკური პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენს ქართული მედიის მუშაობაზე, თუმცა ფიქრობენ, რომ ამგვარი პრობლემები უნდა მოგვარდეს თვით-რეგულირების გზით და შესაბამისი პროფესიული უწყებებისა და პროფესიული თემის ჩართულობით.

საქართველოს მედია და საინფორმაციო სივრცე ჰიბრიდული საფრთხეების პირისპირ

2020 წლის საარჩევნო პერიოდში, საქართველო მოწყვლადია რუსული დეზინფორმაციული კამპანიების მიმართ, რომელთა მიზანია დააეჭვოს ადამიანები მათ ისტორიულ, ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებაში.[43] ეს ფენომენი ახალი არ არის, თუმცა, მაშინ როდესაც საქართველოს კავშირები ნატოსთან და ევროკაშირთან გაძლიერდა, აშკარა გახდა, რომ რუსეთი არ მიიღებდა მისი მეზობლის სწრაფვას დასავლურ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ

[43] კინწურაშვილი, თამარ. (2018) "ანტიდასავლური პროპაგანდა." მედიის განვითარების ფონდი. ხელმისაწვდომია https://bit.ly/310fpa8

სისტემებში ინტეგრაციისკენ. რუსეთის მთავრობამ იერიში მიიტანა ქვეყანაზე შეიარაღებული ძალების, კიბერთავდასხმებისა და დეზინფორმაციული კამპანიების საშუალებით.[44][45]

საქართველოში საზოგადოებრივ განწყობებზე ზეგავლენის მოსახდენად კრემლი მრავალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო არხს იყენებს და ავრცელებს დეზინფორმაციასა და ანტი-დასავლურ პროპაგანდას. სოციალური მედია ალბათ ყველაზე საჭირო იარაღია რუსული დეზინფორმაციული კამპანიებისთვის.[46][47][48] საინფორმაციო საშუალებები, რომელთაც გამოხატული პრო-რუსული სარედაქციო პოლიტიკა აქვთ (ასეთებია: ახალი ამბების ონლაინ გვერდი sakinform.ge, გაზეთი Georgia and the World და მისი ონლაინ გვერდი geworld.ge, ონლაინ გამოცემა newspress.ge, და ტელეკომპანია „ობიექტივი“) კვლევების თანახმად[49] რუსული დეზინფორმაციის გამავრცელებლები არიან. ტელეკომპანია „ობიექტივის“ წარმომადგენელიახლახან აირჩიეს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად.

საინტერესოა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში (2014-დან 2018 წლამდე) საჯარო და სახელმწიფო უწყებები კონტრაქტს აფორმებდნენ ამ მედია ორგანიზაციებთან სარეკლამო უზრუნველყოფისა და ინფორმაციის გავრცელების მომსახურების შესასყიდად.[50] პროპაგანდისტული არხი, რომელსაც რუსეთი იყენებს არის ონლაინ საინფორმაციო გვერდი „სპუტნიკი“ რომელიც ავრცელებს ახალ ამბებს დაახლოებით 30 ენაზე, მათ შორის, ქართულ ენაზეც და გააჩნია საკუთარი ოფისი საქართველოში. ზოგი ექსპერტი მიიჩნევს, რომ „სპუტნიკის“ გავლენა საზოგადოებრივ აზრზე მინიმალურია, თუმცა არ ღირს მისი მნიშვნელობის დაკნინება. 2020 წლის აპრილში, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED) გამოავლინა 37 ყალბი ანგარიში, რომლებიც, როგორც ფიქრობენ, უკავშირდებოდა “სპუტნიკს.” მათ შორის, 11 იყო შენიღბული ფეისბუკ გვერდი, და სავარაუდოდ 26 ყალბი პირადი ანგარიში, რომლებიც ორგანიზებულად ავრცელებდნენ *„სპუტნიკის“* მასალებს. [51]

რუსულ სატელევიზიო პროგრამებს, რომლებსაც მოიხმარენ საქართველოში ძირითადად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ასევე შეუძლიათ წვლილის შეტანა

---

[44] აშშ კონგრესი. საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტი. 115-ე კონგრესის მე- 2 -ე სესია. “პუტინის ასიმეტრიული/ ირიბი შეტევა დემოკრატიაზე რუსეთსა და ევროპაში: შედეგები აშშ ეროვნული უსაფრთხოებისთვის.” ვაშინგტონი: სახელმწიფო ტიპოგრაფია, 2000. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2FsZGby

[45] კაპანაძე, სერგი. (2015) “რუსეთის რბილი ძალა საქართველოში–მტაცებელი მცენარე მოქმედებაში“ წიგნში ტომს როსტოკი და ანდრის სპრუდსი (რედაქტორები) "რბილი ძალის სხვადასხვა სახეები“: ბალტიკის ქვეყნები და აღმოსავლეთის ქვეყნების თანამეგობრობა რუსეთსა და ევროკაშირს შორის (რიგა: ლატვიის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტი, 2015. – 256 p)

[46] მაკკეინის ინსტიტუტი. (2019) “დეზინფორმაციის აღმოჩენა და მისი უკუგდება საქართველოს სოციალური მედიის მონიტორინგსა და ანალიზში.” https://bit.ly/2YkWKEn

[47] ჰელმუს, თოდდს.; ბოდინ-ბარონი, ელიზაბეტი; რადინი ენდრიუ; მაგნუსონი, მადლენ; მენდელსონი, ჯოშუა; მარჩელინო, უილიამ; ბეგა, ანდრი და უინკელმანი. (2018) “რუსეთის სოციალური მედიის გავლენა: რუსეთის პროპაგანდის გაგზრება აღმოსავლეთ ევროპაში.“ სანტა მონიკა. Rand corporation. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kKeqmu

[48] წიწიკაშვილი, მარიამ (2019) “რუსეთთან დეზინფორმაციის ბრძოლაში მიღებული გამოცდილებების შედარება საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში.“ უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპული ღირებულებების ცენტრი. ხელმისაწვდომია https://bit.ly/310rmg5

[49] კინწურაშვილი, თამარ & გელავა, სოფო (2020) „ანტიდასავლური პროპაგანდა“. მედიის განვითარების ფონდი. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kI0doN

[50] პატარიძე, მარიამი. (2018) “მედიის ფინანსური გამჭვირვალობა“ მედიის განვითარების ფონდი. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34b3CIh

[51] “რუსული საინფორმაციო ოპერაციები საქართველოში–სპუტნიკის მიერ კოორდინირებული ქსელი Facebook-ზე. „ სამართლიანი არჩევნების საერთაშორისო ფედერაცია. 8 აპრილი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3gka0iZ

რუსეთის სასარგებლო განწყობების გაღვივებაში რიგ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.[52] ის ზეგავლენა, რაც დეზინფორმაციას და პროპაგანდას შეიძლება ქონდეს საქართველოში ჯერ ზუსტად არ არის შეფასებული. ერთ-ერთმა კვლევამ[53] გამოავლინა, რომ რუსული დეზინფორმაციული შეტყობინებები მეტად ახდენს გავლენას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებში.

საინფორმაციო არხების გარდა, არსებობენ ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკოსები, რომლებიც ავრცელებენ პრორუსულ პროპაგანდას. (არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიცაა „ევრაზიული ინსტიტუტი“, „გლობალური კვლევების ცენტრი“, „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი“ და „გლობალიზაციის საკითხთა კვლევის ცენტრი“ ფონდები, როგორიცაა „ალექსანდრე გორჩაკოვის სახალხო დიპლომატიის ფონდი“, „ევგენი პრიმაკოვის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრი“ და ფონდი „რუსკი მირი“) ქართველი ულტრა მემარჯვენე ჯგუფები და ზოგიერთი პოლიტიკოსი ასევე ხელს უწყობენ რუსულ დეზინფორმაციულ კამპანიებს თავიანთი საქმიანობით. [54][55]

დეზინფორმაცია კიბერუსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი ზრუნვის საგანია, თუმცა საქართველო არ არის დაცული კიბერშეტევებისგანაც. არჩევნების დღეს, 31 ოქტომბერს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით მათ სერვერებზე განხორციელდა შეტევა, რის გამოც მაუწყებლობა 10 წუთის განმავლობაში გამოთიშული იყო.[56] ლუგარის ლაბორატორიაზე კიბერშეტევის შედეგად კი, 2020 წლის სექტემბერში, მოიპარეს ქვეყნაში პანდემიის მართვის ამსახველი დოკუმენტები.[57] მასიურმა კოორდინირებულმა („სერვისის უარყოფა“/**DDoS**) კიბერშეტევამ 2019 წელს ცხადყო ქვეყანაში არსებული დამცავი ზომების სისუსტე. შეტევის შედეგად 2, 000-მდე სახელმწიფო, კერძო და მედიის ვებგვერდი იქნა პარალიზებული. ოფიციალურმა წარმომადგენლებმა საქართველოში, გაერთიანებულ სამეფოსა და შეერთებულ შტატებში გამოაცხადეს, რომ კიბერშეტევის უკან რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველო (გრუ) იდგა.[58] რუსეთის ოფიციალურმა პირებმა უარყვეს ეს განცხადებები.

კიბერუსაფრთხოების საკითხები კიდევ უფრო მწვავედ დგება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში. ესტონეთის საზღვარგარეთის ქვეყნების სადაზვერვო სამსახურის ანგარიშში გამოითქვა შეშფოთება რუსული პროპაგანდის ზრდის გამო საქართველოში და ასევე გაფრთხილება, რომ რუსეთი შეეცდებოდა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენას.[59] აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა, მის ბოლო კომენტარში მედიასთან

---

[52] კინწურაშვილი, თამარ; გელავა, სოფო და ჩიტაძე, ანა (2018) "უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინფორმირება საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ." მედიის განვითარების ფონდი. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3h12733

[53] "ანტიდასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლა: სამიზნე სტრატეგიების შესახებ" CRRC-Georgia. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3aMNKwY

[54] ძველიშვილი, ნატა (2018) "პრო-რუსულიდან პრო-ქართულ ნარატივამდე". ხელმისაწვდომია https://bit.ly/3dGJSil

[55] მითების დეტექტორი. https://bit.ly/3m4OKRA

[56] "საზმაუ: ჩვენს სერვერზე სავარაუდოდ, კიბერთავდასხმა განხორციელდა"." Mediachecker.ge ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kTeyQ6

[57] "საგარეო საქმეთა მინისტრი ზალკალიანი კიბერშეტევის შესახებ: 'საქარვთველო უკან არ დაიხევს ამ ქმედების წარმოშობის, დამრღვევების წინაშე." Agenda.ge. 4 სექტემბერი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/35mE0an

[58] "ინფორმაციარუსეთის მასიური კიბერშეტევის შესახებ საქართველოში." 20 თებერვალი, 2020. Euractive. 20, თებერვალი, 2020 ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kZPfwj5

[59] "საერთაშორისო უსაფრთხოება და ესტონეთი 200 წელს." ესტონეთის საერთაშორისო სადაზვერვო სამსახური. 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3aIHcze

გამართულ ღონისძიებაზე „საარჩევნო კომპასი“ აღნიშნა რუსეთისა და სხვა არაკეთილმოსურნე აქტორების მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელებისა და არჩევნებში ჩარევის საფრთხე. [60]

ჰიბრიდული საფრთხეების სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ მედეგობის განვითარება საქართველოს სტრატეგიული და პოლიტიკური დოკუმენტების მნიშნელოვან ნაწილს შეადგენს. საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა აიღეს ვალდებულება გაზარდონ ქვეყნის შესაძლებლობები როგორც ევროკაშირის ასოცირების შეთანხმების[61] შესაბამისად და საკუთარი პოლიტიკური დოკუმენტების მეშვეობით, როგორიცაა „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ და „საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია“ (2017-2018). არსებობს აგრეთვე „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც აწესებს საინფორმაციო უსაფრთხოების მინიმალურ ნორმებს და ხაზგასმით ეხება კიბერუსაფრთხოების საკითხებს.[62] 2019 წლის კიბერშეტევიდან მალევე, მმართველი პარტიის ერთ-ერთ დეპუტატის ინიციატივით შემუშავდა კანონპროექტი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონში ცვლილებების თაობაზე, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები კრიტიკულად შეხვდნენ.[63] ისინი ღელავდნენ, რადგან კანონში შემოთავაზებული ცვლილებები შექმნიდა საქართველოს საინფორმაციო სისტემის შეუზღუდავი კონტროლის რისკს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან და აგრეთვე გაამყარებდა საფუძვლებს მთავრობის მიერ პირადი მონაცემებით პოლიტიკური მანიპულირებისთვის.[64][65] მიუხედავად ამისა, კანონპროექტმა პარლამენტში ყველა მოსმენა გაიარა, მაგრამ შემოდგომის სესიაზე კენჭი არ ეყარა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები იმედოვნებდნენ, რომ შემდეგი პარლამენტი პირველ რიგში დაამტკიცებს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიას და მიიღებს ახალ კანონს „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ ფართო კონსენსუსის საფუძველზე.

მთავრობის კომუნიკაცია დეზინფორმაციასა და ჰიბრიდულ საფრთხეებზე

მთავრობის ვალდებულება გაუმკლავდეს ანტიდასავლურ პროპაგანდას განსაზღვრულია დოკუმენტში „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017-2020 წლების სტრატეგია.“ საქართველოს მთავრობა არის

[60] “ელჩი კელი დეგნანის განცხადება მედიისთვის საარჩევნო კომპასის ღონისძიებაზე.“ აშშ საელჩო თბილისში. 23 სექტემბერი , 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34itOjP

[61]საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3gjuCYh

[62] ჯანგიანი, გიორგი. (2020) “ანგარიში: ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ინფორმაციული უსაფრთხოების“ შესახებ და მასთან დაკავშირებული რისკები.“ ფონდი ღია საზოგადოება. გამოუქვეყნებელი დოკუმენტი.

[63] “კანონპროექტი „ინფორმაციული უსაფრთხოების“ შესახებ და მასთან დაკავშირებული რისკები.“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი 12 თებერვალი , 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34tNgdm.

[64] ჯანგიანი, გიორგი. (2020) “ანგარიში: ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ინფორმაციული უსაფრთხოების“ შესახებ და მასთან დაკავშირებული რისკები“ ფონდი ღია საზოგადოება. გამოუქვეყნებელი დოკუმენტი.

[65] მალვენიშვილი, მარი და ბალარჯიშვილი, ნინი. (2020) “კიბერუსაფრთხოების რეფორმა საქართველოში: არსებული გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები.“ IDFI. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34eScmi

ვალდებული კოორდინაცია გაუწიოს სტრატეგიულ კომუნიკაციებს ზოგადად.[66][67][68] საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიები ასევე კომუნიკაციის პოლიტიკის უმაღლეს მაკოორდინირებელ ორგანოებად არიან მოხსენიებული.[69] 2018 წელს სტრატეგიული კომუნიკაციის ოფისები გაიხსნა ყველა სამინისტროში ანტიდასავლური პროპაგანდის მზარდ საფრთხეებზე საპასუხოდ. მათ დაევალათ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ, აგრეთვე ეფექტური და კოორდინირებული სტრატეგიული კომუნიკაციის სისტემის შექმნა ქვეყანაში.[70] თემატური მოკვლევის ჯგუფის თანახმად, ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაციისთვის ზოგადი მექანიზმები ადგილზეა, თუმცა, კოორდინაციის სისტემა არ არის სათანადოდ გამართული.[71]

2019 წლის თებერვალში, საქართველოს პარლამენტთან შეიქმნა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე სამუშაო ჯგუფი. მან იმუშავა სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებთან და ოფიციალურ წარმომადგენლებთან ერთად, რათა გაეზიარებინა დეზინფორმაციასთან ბრძოლის გამოცდილება. რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს (თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი) ფეისბუკის გვერდების კომუნიკაციის კვლევამ კი გამოავლინა,[72] რომ ისინი უმთავრესად რეაგირებენ ისეთი კრიტიკული მედიის შინაარსზე, როგორიცაა „მთავარი არხი“, „ტელეკომპანია პირველი“, „რუსთავი 2“ (ვიდრე რუსთავი 2-ს ოპოზიციურ ძალებს უკავშირებდნენ), „ფორმულა“, ტელეკომპანია „TV25“ და „ტაბულა“.

მედიაწიგნიერების სტრატეგია და მედიაკრიტიკის პლატფორმა

მოსახლეობის მედიაწიგნიერების დონის ამაღლება ერთ-ერთი საშუალებაა ზემოთხსენებულ პრობლემებთან გასამკლავებლად.[73] მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მონაცემებზე დაფუძნებული, ზუსტი ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობაში მედიაწიგნიერების დონის შესახებ,[74] ექსპერტთა შეფასებებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი საშუალოზე დაბალია. კომუნიკაციების კომისია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად პასუხისმგებელია მედიაწიგნიერების სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ქვეყანაში. მედიაკრიტიკის პლატფორმა, რომელსაც ხელმძღვანელობს „მედიააკადემია“, დაარსდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ და ერთ-ერთი ინსტრუმენტია ამ

---

[66] დევდარიანი, ჯაბა & არძინბაია, ზვიადი(2019) “რუსულ დეზინფორმაციაზე რეაგირება: საქართველოს საქმე. არასამთავრობო სექტორების საქმიანობის მიმოხილვა. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kZvMvD

[67] კინწურაშვილი, თამარ. (2020) “სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერება და პლურალიზმის და მედიის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა.“ ხელმისაწვდომია https://bit.ly/3ggPUWs

[68] არძინბაია, ზვიადი & დევდარიანი, ჯაბა (2019). „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ.“ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფის საბოლოო ანგარიში. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3qfQgTG

[69] Ibid

[70] „მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნება.“ საქართველოს მთავრობა. თებერვალი, 2018. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34ifzM9

[71] არძინბაია, ზვიადი & დევდარიანი, ჯაბა (2019). „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ.“ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფის საბოლოო ანგარიში. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3qfQgTG

[72] “ბრძოლა “შიდა მტერთან“ და კოჰაბიტაცია რუსულ პროპაგანდასთან.“ მედიის განვითარების ფონდი. 6 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3arTY56

[73] სამთავრობო პროგრამა 2019 –2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3m0l8Fn

[74] ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ოჯახების 62 პროცენტს გააჩნია კომპიუტერი საქართველოში, 46 პროცენტი ფიქრობს, რომ არ აქვთ ბაზისური ცოდნა მის გამოყენებაში. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34bHgGm

მიზნის განსახორციელებლად. პლატფორმის www.mediacritic.ge მიზანია მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება პასუხისმგებლიანი და ხარისხიანი მედიის შესახებ. თუმცა, პლატფორმაზე გამოქვეყნებული სტატიების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მათი ძირითადი სამიზნე კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიაა.[75] მათ შორის არიან „მთავარი არხი“, „ტელეკომპანია პირველი“ და „ფორმულა,“ მითითებულ მედიასაშუალებებს პლატფორმის ავტორები ხშირად სდებენ ბრალს დეზინფორმაციის ან ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში. ავტორების ფოკუსში მოხვდნენ ასევე ისეთი სანდო ონლაინ წყაროები, როგორიცაა “ნეტგაზეთი“, „რადიო თავისუფლება“ და „on.ge“. პროსამთავრობო არხი-ტელეკომპანია „იმედი“ მხოლოდ რამდენჯერმე იყო მოხსენებული მათ სტატიებში და მას ძირითადად სხვა არხებთან ერთად განიხილავდნენ. ერთ-ერთ ბოლო საკითხს, რომელიც უკავშირდებოდა ტელეკომპანია „იმედის“ დირექტორის პირდაპირ ჩარევას ჟურნალისტთა სარედაქციო დამოუკიდებლობაში, არასოდეს შეხებიან პლატფორმის ავტორები.[76] უფრო მეტიც, ავტორები არ აქცევენ ყურადღებას ისეთ მაუწყებლებს თუ ონლაინ მედიას, რომლებიც ავრცელებენ სიძულვილის ენას, ანტიდასავლურ პროპაგანდას და რუსულ დეზინფორმაციას.[77]

2020 წლის ივლისში რამდენიმე მედიამ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ოფიციალურად მიმართეს ფეისბუკს თხოვნით საქართველოდან პოლიტიკურ რეკლამასთან დაკავშირებული ინფორმაციის ღიად გამოქვეყნების თაობაზე. კომუნიკაციების კომისიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელში ამტკიცებდა, რომ ეს მიმართვა „ორმაგი სტანდარტის დამკვიდრება“ ნიშნავდა. მარეგულირებლის მტკიცებით, მედიების ნაწილი თავად ცდილობდა თავი აერიდებინა პოლიტიკური რეკლამიდან მიღებული შემოსავლების დეკლარირებისთვის.[78] მარეგულირებლის განცხადებაზე „ნეტგაზეთმა“ მოამზადა კრიტიკული მასალა,[79] რომელზე პასუხადაც მედიაკრიტიკის პლატფორმის ერთ-ერთმა ავტორმა თავის მიმოხილვაში „ნეტგაზეთი“ დაადანაშაულა „დეზინფორმაციისა და ყალბი ახალ ამბების“ გავრცელებაში.[80] მიმოხილვას თან ახლავს მანიპულაციური ფოტო, რომელზეც სიტყვები „ნეტ“ და „გაზეთი“ აშშ დოლარის კუპიურაზე წერია. კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის“ და მისმა წევრმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ „ნეტგაზეთის“ შესახებ გამოქვეყნებული სტატიაში „თავს ესხმის მედიასაშუალებას და ცდილობს დამაკნინებლად წარმოაჩინოს იგი.“[81] კოალიციის განცხდების თანახმად, ეს ქმედება ბადებს კითხვებს მედიაკრიტიკის პლატფორმის სარედაქციო დამოუკიდებლობის შესახებ.

---

[75] “ბრძოლა „შიდა მტერთან“ და კოჰაბიტაცია რუსულ პროპაგანდასთან.“ მედიის განვითარების ფონდი. 6 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3arTY56

[76] “ქარტია: ტელეკომპანია იმედის დირექტორი ჩაერია ჟურნალისტების სარედაქციო დამოუკიდებლობაში.“ Civil.ge. 9 ოქტომბერი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34etx1l

[77] “ბრძოლა „შიდა მტერთან“ და კოჰაბიტაცია რუსულ პროპაგანდასთან.“ მედიის განვითარების ფონდი 6 ივლისი , 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3arTY56

[78] “კომუნიკაციების კომისია: მაუწყებლები, რომლებიც მე-7 წელია საზოგადოებას საკუთარი დაფინანსების წყაროებს უმალავენ, გამჭვირვალობისკენ „ფეისბუქს“ მოუწოდებენ.” კომუნიკაციების კომისია. 30 ივნისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/39u6ouU

[79] “რატომ არ მოსწონს კომუნიკაციების კომისიას ფეისბუკისთვის გაგზავნილი წერილი.“ netgazeti.ge. 3 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kSMVHl

[80] „ცალმხრივად გამჭვირვალე ნეტგაზეთი.“ Mediacritic.ge. 5 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3fPV7Ge

[81] “მედიის ადვოკატირების კოალიცია რეაგირებს გაზეთ ბათუმელების და ნეტგაზეთის დისკრედიტაციაზე.“ კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის. 9 ივნისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2CyXhek

თბილისის მერის კამპანია კრიტიკული მედიის წინააღმდეგ

თბილისის მერმა, რომელიც ამავე დროს ქართული ოცნების გენერალური მდივანია, გამოაცხადა ოპოზიციური პარტიების მიერ დეზინფორმაციის და ყალბი ახალი ამბების გავრცელების წინააღმდეგ კამპანიის წარმოების შესახებ. მისი სიტყვებით, ეს პარტიები „იყენებენ ტელემაუწყებლებს ამომრჩევლებზე გავლენის მოსახდენად.“ [82] მის განცხადებას თან ახლდა პლაკატი სამი ტელევიზიის ლოგოთი -„მთავარი არხი“, „ტელეკომპანია პირველი“ და „ფორმულა“. ამ სატელევიზიო არხების სახელები პლაკატზე შემდეგნაირად ეწერა: „მთავარი სიცრუე“, პირველი სიცრუე“ და „სიცრუის ფორმულა“.

ადგილობრივი დეზინფორმაცია სოციალურ მედიაში

მაშინ როდესაც რუსული აგრესიის მიზანია მისი საზღვრების გარეთ გავლენის მოპოვება, საქართველოს მთავრობა სოციალურ მედიაში ტროლებს და ბოტებს საზოგადოებრივი აზრის პოლარიზების, მეტოქეების დისკრედიტაციის და კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიისთვის ზიანის მიყენების მიზნით იყენებს. 2020 წლის მაისში, ზუსტად საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე ნახევარი წლით ადრე ფეისბუკმა გამოავლინა ონლაინ პლატფორმასთან - „Espersona“ (ეს ადამიანი) დაკავშირებული 511 გვერდი, 101 ფეისბუკის ანგარიში, 12 ჯგუფი და 56 ინსტაგრამის ანგარიში. „Espersona“ მედია პლატფორმაა, რომელიც, როგორც ამბობენ, დაკავშირებულია პარტია ქართულ ოცნებასთან. ამასთან ერთად, ფეისბუკმა ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ანგარიშებიც გამოააშკარავა.[83]

2019 წლის დეკემბერში, ფეისბუკმა გამოაცხადა 39 ანგარიშის, 344 გვერდის, 13 ჯგუფის და ინსტაგრამის 22 ანგარიშის გამოვლენის შესახებ, რომელთა „კოორდინირებული არაავთენტური“ ქცევა, რომელიც წარმოადგენდა ქვეყნის შიდა ქსელს და რომელიც წარმოიშვა საქართველოში.”[84] ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეს საქმიანობა „ქართული ოცნების“ მთავრობა უკავშირდებას.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველო მოწყვლადია ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ. ეს საფრთხეები იზრდება, როდესაც შესაბამისი პოლიტიკა არაჯეროვნად და სუსტად ხორციელდება და კომუნიკაცია საზოგადოებასთან ფრაგმენტული და არაფოკუსირებულია. მთავრობა კი, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან რესურსს ხარჯავს არასწორ სამიზნეზე. კერძოდ, კრიტიკულ და დამოუკიდებელ საინფორმაციო საშუალებებზე.

[82] “თბილისის მერის კამპანია ყალბი ამბის წინააღმდეგ.” Civil.ge. 26 ივნისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2TyUAy1

[83] “2020 წლის აპრილის ანგარიში კოორდინირებული, არაავთენტური ქცევის შესახებ“ Facebook 20 მაისი, 2020. ხელმისაწვდომია. https://bit.ly/31ZoAH9

[84] გლეიჩერი, ნ. (2019) “კოორდინირებული არაავთენტური ქცევის აღმოფხვრა საქართველოში, ვიეტნამში და აშშ-ში.” Facebook. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kR9snR

მიმოხილვა #3: საზოგადოებრივი მაუწყებელი დღეს საქართველოში: ვის ემსახურება იგი - საზოგადოებრივ ინტერესს თუ მთავრობას?

მოკლე შეჯამება

საქართველოში მთავარი პოპულარული მაუწყებლების უმეტესობა ძალზე პოლარიზებულია. როგორც წესი, პოლარიზაცია იზრდება მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების დროს, განსაკუთრებით კი, არჩევნების პერიოდში. პოლარიზებულ მედიაგარემოში საზოგადოებრივ მედიას შეუძლია შეავსოს ის სიცარიელე, რომელსაც ტოვებენ კერძო მაუწყებლები. უზრუნველყოს საზოგადოება მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი ინფორმაციით და დებატებით. თუმცა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობა ხშირად ხდება კრიტიკის საგანი. ასეთია ის მოვლენებიც, რომლებიც განვითარდა აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში 2019 და 2020 წლებში და შეშფოთებას იწვევს მაუწყებლის სარედაქციო პრიორიტეტების, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის კუთხით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორმირება

საქართველოს სახელმწიფო ტელევიზია და რადიო მაუწყებლობა საზოგადოებრივ მაუწყებლად 2004 წელს გადაკეთდა.[85][86] საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება წარმოადგენდა. „მაუწყებლის შესახებ“[87] საქართველოს კანონმა საფუძველი დაუდო „სახელწიფო მმართველობისგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ “[88] საზოგადოებრივ მაუწყებლობას. აჭარის სახელმწიფო ტელევიზია და რადიომ, სტატუსი 2013 წელს შეიცვალა კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად.მანამდე კი, იგი აჭარის ავტონომიური მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებას წარმოადგენდა.[89]

2017 წელს მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საინფორმაციო საშუალებების ავტორიტეტის გაძლიერებაში, რომლის მიხედვით საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს „საზოგადოებრივი მაუწყებლის სახელმწიფო უწყებებისგან დამოუკიდებლობას და მისი პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფლებას.“[90] ცვლილებები ინიცირებული იყო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ.

დამოუკიდებლობის პრობლემა

სამეურვეო საბჭო

კოალიცია „მედია ადვოკატირებისთვის“ წევრების ინიციატივის და ძალისხმევის შედეგად, 2013 წელს, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რომელიც შეიცავდა საბჭოს წევრთა არჩევნების განახლებულ მოდელს. შედეგად, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში ირჩევა ცხრა წევრი[91]: საქართველოს

---

[85] მედიის მდგრადობის ინდექსი, საქართველო. 2005. ხელმისაწვდომია https://bit.ly/31K7AWG

[86] ბეკერმანი, მარეკ. (2015) “წარმატებული ისტორიის წარუმატებლობა: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირება.” ხელმისაწვდომია https://bit.ly/3gOMURE

[87] „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონი. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2EQetg6

[88] „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 15 - საზოგადოებრივი მაუწყებლის სამართლებრივი სტატუსი. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3opa4TL

[89] ცეცხლაძე, სალომე; გოგიაშვილი, მარიამ და ანდღულაძე, მამუკა. (2017) “აჭარის რადიო და ტელემაუწყებელი.” ხელმისაწვდომია https://bit.ly/3jyx5A9

[90] საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 17, პუნქტი 6. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3bW4q5u

[91] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kNApYC

პარლამენტი ირჩევს ორ მეურვეს საქართველოს სახალხო დამცველის წარდგინებით, სამს – საპარლამენტო უმრავლესობის წარდგინებით, სამს – საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის წარდგინებით, ხოლო ერთს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.

აჭარის მაუწყებლის შემთხვევაში, კანდიდატები ასევე ღია კონკურსის წესით ირჩევიან. საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატთაგან სამს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქციები, მათში შემავალ დეპუტატთა რაოდენობის პროპორციულად, ხოლო ორს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრების არანაკლებ ერთი მეოთხედი წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ასარჩევად.
ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა დიდწილად ეფუძნება მედიის ევროპულ კონცეფციას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლობის გამჭვირვალობას და დამოუკიდებლობას. არჩევნების პროცედურა ასახავს საზოგადოებრივ ინტერესს და პლურალისტულია.[92] ამის მიუხედავად, ორივე მაუწყებელში საბჭოს არჩევნები პოლიტიზირებული და სამთავრობო ინტერესებისკენ გადახრილია. ბერკეტი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გზა ჩაუკეტოს კანდიდატებს საბჭოს წევრის ადგილის მოპოვებაში, მეტწილად უმრავლესობის ხელშია. ამგვარი ზომები ძირს უთხრის საზოგადოებრივი მაუწყებლის სანდოობას. შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებმა უფრო აქტიურად უნდა შეასრულონ სამეთვალყურეო ფუნქციები და უზრუნველყონ მაუწყებლის მიერ მისი საზოგადოებრივი ვალდებულებების შესრულება. [93]

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

დამოუკიდებელი სტატუსის მოპოვების თითქმის ორი ათწლეულის შემდეგ, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი იბრძვის იმისთვის, რომ იგი აღიქვან როგორც მაუწყებელი, რომელიც ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესს. ეს ფართოდ გავრცელებული წარმოდგენა განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით. ესენია: სამეთვალყურეო საბჭოზე პოლიტიკური გავლენა, არხის ხელძღვანელობის ხშირი ცვლა, რაც უმეტესად ბუნდოვან გარემოებაში ხდება[94][95] და მიკერძოებული გაშუქება მმართველი პარტიის სასარგებლოდ, როგორც ეს მედიამონიტორინგის ანგარიშებიდან და ექსპერტთა შეფასებებიდან ჩანს.[96] მაგალითად, 2018 წლის წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა გამოავლინა სიმპათიები ქართული ოცნების პარტიისა და მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი მიმართ. [97] ამასთანავე, 2016, 2017 და 2018 წლების წინასაარჩევნო პერიოდების საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეპორტაჟების შედარების შედეგად გამოვლინდა, რომ 2018 წელს პროსამთავრობო პრეფერენციები პირველ არხზე გაიზარდა. არის

[92] ნიმან მეტკალფ, კატრინი (2013) "მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების ანალიზი." ეუთოს ანგარიში. ხელმისაწვდომია https://bit.ly/32ZJEyI
[93] "საზოგადოებრივი მაუწყებლების დაფინანსება და რეიტინგები რეფორმის დაწყებიდან სამ წელიწადში." IDFI. 9 სექტემბერი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2Zvmxug
[94] მედიის მდგრადობის ინდექსი საქართველოში. 2006-2007. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34WyjkK
[95] "კრიზისი გრძელდება: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ისტორია." საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 11 ოქტომბერი, 2013. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3bjDNag
[96] მედიის მდგრადობის ინდექსი საქართველოში. 2008. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3lH7M0C
[97] "28 ოქტომბრის და 28 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნები". ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. 2018. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34SeATc

შემთხვევებიც, როდესაც მაუწყებელი რ აშუქებს ზოგიერთ მნიშვნელოვან ამბავს.[98] ასევე, არხის ვალდებულება მოემზადებინა უმცირესობებზე ორიენტირებული პროგრამები სათანადოდ ვერ შესრულდა. ადრეულ გაზაფხულზე COVID 19-ის შედეგად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, მაუწყებელმა ვერ მოახერხა შესაბამისი ინფორმაციის დროულად მიწოდება სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის.[99] ამასთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შუალედურ ანგარიშში, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდის გაშუქებას ეხება აღნიშნულია, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა პოლიტიკური პარტიები ნეიტრალურად გააშუქა, თუმცა მისი სარედაქციო პოზიცია კვლავ „ლოიალური იყო მთავრობისადმი“. [100]

2020 წელს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI)[101] მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის მიხედვით, საზოგადოების ნდობა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისადმი მიმდინარე მოვლენებზე ზუსტი ინფორმაციის მიწოდების საკითხში უფრო დაბალია ვიდრე სხვა ეროვნული არხების მიმართ. მაგალითად, როგორიცაა „იმედი“, „მთავარი არხი“, „რუსთავი 2 „ იხ. სქ. 1



რომელი ქართული ტელეკომპანიის ახალ ამბებსა და პოლიტიკურ ინფორმაციას ენდობით ყველაზე მეტად?
(რესპონდენტებს შეეძლოთ ორი სპონტანური პასუხის გაცემა)
იმედი
მთავარი არხი
რუსთავი 2
ტვ პირველი
პალიტრა ნიუს
აჭარა
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

[98] "ჟურნალისტთა საპროტესტო აქციები არ გაშუქებულა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ." Mediachecker.ge. 24 დეკემბერი, 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/356DnDm
[99] ქავთარაძე ლაშა. (2020)"ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია." EMC. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3hymbZQ
[100] "შუალედური ანგარიში მედიის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გაშუქების შესახებ საქართველოში. "შუალედური ანგარიში სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემების მონიტორინგის შესახებ, 5 ივნისი 15, 2020-31 აგვისტო, 2020." საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3i4oGU6
[101] საზოგადოებრივი აზრის კვლევა: საქართველოს მოქალაქეები, 4-21 აგვისტო , 2020. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი. ხელმისაწვდომია https://bit.ly/37zilhI

ფორმულა
ობიექტივი
ერთსულოვნება
პოსტ ტვ
სხვა
არცერთი
არ ვიცი/ არ უპასუხა

მედია ექსპერტები მაუწყებლის დამოუკიდებლობის პრობლემებზე საუბრისას რამდენიმე მიზეზს ასახელებდენ, რომელთა შორის მთავარი, არხის ყოფილი დირექტორის ზეგავლენა იყო. როგორც ამბობენ, პარტია "ქართული ოცნების" მიმართ კეთილგანწყობილებაც იყო.[102] ვასილ მაღლაფერიძე ტელეკომპანია GDS - ის ყოფილი მთავარი პროდიუსერია, ეს არხი რამდენიმე წლის წინ პარტია „ქართული ოცნების" დამაარსებლის და თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის ოჯახის მფლობელობაში იყო.

2017 წელს მაღლაფერიძე გახდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის დირექტორი. საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად გახდომისთანავე მან გადააწყო პროგრამები და სამსახურში აიყვანა GDS-ის კადრები ღია კონკურსის გამოცხადების გარეშე.[103]

მაღლაფერიძე თანამდებობაზე 2023 წლამდე უნდა ყოფილიყო, თუმცა, 2020 წლის აგვისტოში იგი მოულოდნელად გადადგა. მან განაცხადა, რომ ამ ნაბიჯით სურდა თავიდან აეცილებინა ეჭვები მაუწყებლის მიკერძოებულობის თაობაზე წინა საარჩევნო პერიოდში.[104] აღსანიშნავია აგრეთვე, რომ წინა დირექტორი - გიორგი ბარათაშვილიც დროზე ადრე გადადგა ყოველგვარი სათანადო განმარტების გარეშე.[105] ზოგიერთი მედია ექსპერტის აზრით, დირექტორები თავად არ იღებენ ამგვარ გადაწყვეტილებებს, არამედ ისინი დამოკიდებულნი არიან პოლიტიკურ ელიტაზე, რომელიც მათ კარნახობს როგორ მოიქცნენ. როგორც მედიის სფეროს წარმომადგენლები მოელოდნენ, სამეურვეო საბჭომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ ხელმძღვანელად დირექტორის მოადგილე თინათინ ბერძენიშვილი აირჩია.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი

2017-2019 წლებში აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს დიდი მიღწევები ჰქონდა. ტელეარხის პროგრესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისეთი დირექტორის არჩევამ, რომელიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან არ იყო დაკავშირებული. ნათია კაპანაძის ხელმძღვანელობამ მაუწყებელი პოზიტიური განვითარების გზით წაიყვანა და სახელმწიფო ტელევიზიიდან იგი გადაიქცა ერთ-ერთ იმ მაუწყებლად, რომელიც მიუკერძოებლად აშუქებდა მიმდინარე მოვლენებსა და პოლიტიკას.[106][107] ეუთოს (OSCE) არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ის იყო ერთადერთი მაუწყებლებს შორის, რომელმაც მაყურებელს შესთავაზა

[102] "არჩევნების საბოლოო ანგარიში. მედია მონიტორინგი 2016-2018." საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. 2018. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kwVMht

[103] "დასაქმების გაუმჭვირვალე პოლიტიკა საზოგადოებრივ მაუწყებელში." საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 31მარტი, 2017. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3jCLMlX

[104] "საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი ტოვებს თანამდებობას." Civil.ge. 18 აგვისტო, 2020 ხელმისაწვდომია https://bit.ly/31Rpney

[105] "საზოგადოებრივი ტელევიზიის დირექტორი ტოვებს თანამდებობას" Civil.ge. 21 ნოემბერი, 2016. ხელმისაწვდომია https://bit.ly/354DFKZ

[106] "არჩევნების საბოლოო ანგარიში. მედია მონიტორინგი 2016-2018." საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. 2018. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3blpaUe

[107] "საპრეზიდენტო არჩევნები 28, ოქტომბერი და 28 ნოემბერი." ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. 2018. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34SeATc

კანდიდატთა ზოგადი შედარება 2018 წლის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში. ამ ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამის ყურება აჭარის გარეთ, სხვა რეგიონებშიც დაიწყეს.

მაუწყებლის მიერ მიღწეული პროგრესი 2019 წლის დასაწყისში მრჩეველთა საბჭოს მიერ კაპანაძის იმპიჩმენტის შემდეგ უკან-უკან წავიდა. მრჩეველთა საბჭოს მიერ კაპანაძის გათავისუფლებასთან დაკავშირებულ გარემოებათა შეფასებით დამტკიცდა, რომ უნდობლობის გამოცხადება ინიცირებული იყო სათანადო საფუძვლის გარეშე და კენჭისყრა პროცედურული დარღვევით ჩატარდა. გარდა ამისა, კაპანაძის ოფიციალური სარჩელის განხილვა, რომელიც მან ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის აპრილში შეიტანა და მოითხოვდა მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილების გადახედვას, ჯერ კიდევ არ დაწყებულა.

მთელი რიგი წარუმატებელი მცდელობების შემდეგ, საბჭომ აირჩია. როგორც ამბობენ, ის მთავრობისადმი კეთილგანწყობილი იყო. ახალმა დირექტორმა, გიორგი კოხრეიძემ, ვერ შეძლო ხაზის გავლება მის, როგორც ტელეკომპანიის მმართველის მოვალეობებსა და იმ ვალდებულებას შორის, რომლის მიხედვითაც, მან პატივი უნდა სცეს არხის სარედაქციო დამოუკიდებლობას.[108] არხის რეკონსტრუქციის შემდეგ ის თანამშრომლები, რომელთა პასუხისმგებლობას წარმოადგენდა საინფორმაციო სამსახური და არხის სარედაქციო დამოუკიდებლობა ან გაათავისუფლეს ან დაბალ პოზიციებზე გადაიყვანეს. დირექტორის მოადგილემ, ნათია ზოიძემ, საბოლოოდ დატოვა არხი[109] და განაცხადა, რომ მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა დირექტორის მხრიდან და რომ მისი კონტრაქტის პირობები უსამართლოდ იქნა შეცვლილი. ახალი ამბების განყოფილების ხელმძღვანელი და საღამოს ახალი ამბების ერთერთი წამყვანი მოხსნეს სამსახურიდან, ახალი ამბების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა შეიცვალა და ვებ-რედაქტორი გაათავისუფლეს მოვალეობისგან. [110] ამასობაში ტელეარხის თანამშრომლებმა ჩამოაყალიბეს ალტერნატიული პროფკავშირი ტელეკომპანიის იმ თანამშრომლების დასაცავად, რომლებიც დისკრიმინირებულები იყვნენ სამუშაო ადგილზე.[111][112][113] ახლახან, აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელობამ აღარ დაუჭირა მხარი გადაცემის „ათვლის კუთხე“ საკუთარ ეთერში განთავსებას, რომელიც „ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ ფინანსდებოდა[114] და წარმოადგენდა პლატფორმას აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო აქტივისტებისთვის.

ადგილობრივი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების აზრით, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის კრიზისი პოლიტიკურად მოტივირებულია და მიმართულია არხის სარედაქციო დღის წესრიგის მოშლისკენ. ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში არაერთხელ გამოხატა შეშფოთება აჭარის ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკაში მენეჯმენტის

---

[108] სიმონიშვილი, ნიკოლოზი და გოგოლაშვილი მარიამ. (2020) “რა მოხდა აჭარის საზ. მაუწყებელში?“ ხელმისაწვდომია https://bit.ly/3h7gamY

[109] “საქართველოს სატელევიზიო არხის დირექტორის მოადგილე თანამდებობას ტოვებს ზეწოლის ქვეშ.“ რეპორტიორები საზღვრებს გარეშე. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2DB1QFw

[110] “მედია ადვოკატირების კოალიცია რეაგირებს აჭარის ტელევიზიის დირექტორის შერჩევის პროცესზე.” “მედია ადვოკატირების კოალიცია 21 ნოემბერი, 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3jBhXCc

[111] “ადამიანის უფლებების და სხა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოლექტიური მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი აჭარის საზ. მაუწყებლის შემაშფოთებელ პროცესებთან დაკავშირებით.” საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო 18 მარტი, 2020. https://bit.ly/3kl5Sl8

[112] “აჭარის ტელევიზიის თანამშრომლები აპროტესტებენ სამსახურიდან დათხოვნას.“ On.ge. 6 მარტი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kUp2PO

[113] “რამდენიმე ჟურნალისტი გაათავისუფლეს სამსახურიდან აჭარის საზოგადოებრივ ტელევიზიაზე პოლიტიკური ზეწოლის გამო.“ ევროსაბჭო. 5 მარტი, 2020 https://bit.ly/2QREAWJ

[114] “რატომ გაქრა ორი პროგრამა-ათვლის კუთხე და ჰეშტეგი აჭარის ტელევიზიიდან?“ Publika.ge. 24 ოქტომბერი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2Tf8Eww

ჩარევის გამო.[115][116] ევროკაშირისა და აშშ-ის ელჩებმა საქართველოში აგრეთვე გააკეთეს განცხადებები ნათია კაპანაძის იმპიჩმენტის შემდეგ. ახლახან, საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა გაეროს სპეციალურ მომხსენებელსა და ეუთოს წარმომადგენელს მედიის თავისუფლების საკითხებში აჭარის ტელევიზიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ ტელეკომპანიაში გამოვლენილი დარღვევები საფრთხეს უქმნის მედიაპლურალიზმს ქვეყანაში და უარყოფითად მოქმედებს გამოხატვის თავისუფლებაზე. მაუწყებლის კონტენტის მონიტორინგმა, რომელიც ჩატარდა 2019 წლის ბოლოს და 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში, გამოავლინა მაუწყებლის სარედაქციო პრიორიტეტებში ისეთი ცვლილებები, როგორიცაა მთავრობის მიმართ მეტი კეთილგანწყობის გამოხატვა. [117][118]

2020 წლის არჩევნებამდე, აჭარის ტელევიზიამ დაარეგულირა მისი სარედაქციო გადაწყვეტილებები, ყოველ შემთხვევაში, გაეროს მიერ მედიამონიტორინგის ჩატარების პერიოდში. გაეროს განვითარების პროგრამის და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მედიამონიტორინგის შუალედურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამებში მეტ-ნაკლებად შუქდებოდა განსხვავებული აზრი და პარტიები, თუმცა, ზოგ შემთხვევაში შეინიშნებოდა სარედაქციო პოლიტიკის მიკერძოება სამთავრობო გუნდისა და მმართველი პარტიის სასარგებლოდ.[119]

დასკვნა

საქართველოში პოლიტიკური ნება მაუწყებლების სარედაქციო პოლიტიკაში ჩაურევლობისა სუსტია. პოლიტიკოსები თითქოს იზიარებენ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ საჭიროა საზოგადოებრივი მაუწყებლის გაკონტროლება. საბჭოს წევრების და დირექტორის არჩევნები პოლიტიკურ ელფერს ატარებს. პოლიტიზირება ნეგატიურად აისახება მაუწყებლის რეპუტაციაზე, მის საქმიანობასა და საზოგადოების ნდობაზე. არეულობა აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში აჩვენებს თუ რამდენად მყიფეა საზოგადოებრივი მაუწყებელი და რამდენადაა იგი დამოკიდებული ერთ აღმასრულებელ დირექტორზე.

---

[115] "ეუთოს მედიის თავისუფლების წარმომადგენელი შეშფოთებას გამოხატავს აჭარის ტელევიზიაში განვითარებულ მოვლენებზე." 11 მარტი, 2020. Caucasus Watch. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3bmlTUz

[116] "რეგულარული ანგარიში მუდმივ საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრიდან 2020 წლის 2 ივლისამდე პერიოდში." ეუთო.2 ივლის, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2ETzCWW

[117] 28 ოქტომბრის და 28 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნები. ნოემბერი. ეუთოს არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. 2018. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2Y9jrLI

[118] "აჭარის საზ. მაუწყებლის მონიტორინგი." საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kQYvTr

[119] შუალედური ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიის მიერ გაშუქების შესახებ; შუალედური ანგარიში სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის შესახებ . 15 ივნისი , 2020 - 31 აგვისტო, 2020." საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. გაეროს განვითარების პროგრამა. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3i4oGU6

მიმოხილვა #4: უსაფრთხო მედია გარემოსა და ჟურნალისტების თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფა

მოკლე შეჯამება

2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პარტიამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ აიღო ვალდებულება დაეცვა მედიის თავისუფლება, ჟურნალისტთა უსაფრთხოება და ბოლო მოეღო მედიის მიმართ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობისთვის. რამდენიმე წლის განმავლობაში ჟურნალისტებზე თავდასხმის შემთხვევები და მედიაზე პოლიტიკური ზეწოლა შემცირდა. დღეს ჟურნალისტები საქართველოში ისევ რისკის წინაშე დგანან მათი სამუშაოს გამო. რეპორტაჟები ხშირად თავდასხმისა და მუქარის ფასად უჯდებათ. მიუხედავად საკმაოდ გამართული სამართლებრივი ჩარჩოს არსებობისა, საქართველოში ჯერ კიდევ გვხვდება ხარვეზები დანაშაულებრივი საქმეების სათანადოდ გამოძიების კუთხით. მთავრობის უუნარობამ, შეაჩეროს ჟურნალისტების შეურაცხყოფა და დისკრიმინაცია, შესაძლოა მოქალაქეებს დაუკარგოს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და საჯარო დებატებში მონაწილეობის შესაძლებლობა, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდში.

კონტექსტი

საქართველოს მედიალანდშაფტი პლურალისტული, თუმცა პოლარიზებულია. ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ანგარიშის (სურ.1) თანახმად, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში შეინიშნებოდა პროგრესი ზოგადად მედიაგარემოს გაუმჯობესების კუთხით. თუმცა, მიღწეული თავისუფლება და პროგრესი არასტაბილურია. ბოლო წლების განმავლობაში მთავრობას ჰქონდა მცდელობა შეერყია მედიაპლურალიზმი და მედიადამოუკიდებლობა. კრიტიკულ მედიაზე თავდასხმები, ჟურნალისტებისადმი არასათანადო მოპყრობა და დაუსჯელობა იზრდება. გარედან ჩარევა, რუსეთის მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელების მცდელობა ძლიერდება და სავარაუდოდ, იგეგმებოდა ქართველი ჟურნალისტის მკვლელობა.



მიმდინარე გამოწვევები

მედიის პროფესიონალებს შორის არსებობს ზოგადი მოსაზრება, რომ ჟურნალისტების უსაფრთხოების საკითხი შეშფოთების საგნად იქცა საქართველოში. დაშინებამ და ჟურნალისტებზე თავდასხმებმა შესაძლოა სხვადასხვა ფორმით მოხდეს: ფიზიკური

შეურაცხყოფის, აპარატურის დაზიანების, სიტყვიერი შეურაცხყოფის და აგრესიის. მმართველი პოლიტიკური პარტიის მხრიდან არსებობს ტენდენცია კრიტიკული მედიის რეპუტაციის შერყევის, თუმცა ასევე ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც გამოხატავენ უპატივცემულობას ჟურნალისტების მიმართ.

ზეწოლა მედიის მფლობელებზე

2019 წელს მთავრობის მიერ მხარდაჭერილი დავა „რუსთავი 2"- ის მფლობელობასთან დაკავშირებით, რომელიც მწვავედ აკრიტიკებდა მთავრობას და ასოცირდებოდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან, დასრულდა მთავრობის მიმართ კეთილგანწყობილი ბიზნესმენის გამარჯვებით. ახალი მფლობელი აცხადებდა, რომ იგი ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა (ენმ-ს ლიდერმა) აიძულა უარი ეთქვა ტელეკომპანიაში მის წილზე 2006 წელს.[120]

2019 წლის ზაფხულიდან ტელეკომპანიის მენეჯმენტმა და თანამშრომლების ნაწილმა დატოვა კომპანია, ზოგმა იძულებით, ზოგმა კი ახალი ტელეკომპანიების - „მთავარი არხი"-ს და „ფორმულა"-ს შექმნის მიზნით. სამსახურიდან დათხოვნისთანავე, „რუსთავი 2"-ის ყოფილ გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას, ბრალი წაუყენეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ქონების მიტაცებისა და სხვა სამართალდარღვევებისთვის[121]. რამდენიმე სხვა ყოფილ თანამშრომელს აგრეთვე წაუყენეს ბრალი კომპანიის ფინანსური აქტივების მითვისების გამო. გამოძიება არ დასრულებულა და სამართალდამცავ ორგანოებს არ წარმოუდგენიათ რაიმე განმარტება ამ საქმეზე. მედიის დამცველები დაკვირვების შედეგად აღნიშნავენ, რომ „რუსთავი 2"-ის სარედაქციო პოლიტიკა შეიცვალა და მთავრობისადმი კეთილგანწყობილი გახდა.

2019 წელს ბრალი წაუყენეს ბიზნესმენს, რომლის ოჯახიც დამოუკიდებელი „ტელეკომპანია პირველის" მფლობელია.[122] ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებდნენ მყიფე პლურალისტული მედიაგარემოს საფრთხეებზე ქვეყანაში და აღნიშნავდნენ, რომ ჩნდებოდა ეჭვი, გამოძიება კრიტიკულ და დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლის მიზნით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული, განსაკუთრებით, როდესაც მთავრობას უკვე ჰქონდა ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მცდელობა.[123]

ჩარევა გარედან

ინფორმაცია გიორგი გაბუნიას მკვლელობის გეგმის შესახებ, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ჩეჩნეთის ლიდერის რამზან კადიროვის ბრძანებით, 2020 წლის ივნისში გახდა ცნობილი. ქართველმა სამართლდამცავებმა პოტენციური მკვლელი მალევე დააკავეს. ამბავი დაიწყო იმით, რომ გაბუნიამ მის გადაცემაში (რუსთავი 2), რომელსაც ყველაზე ფართო აუდიტორია ყავდა, უწმაწური სიტყვებით მიმართა ვლადიმერ პუტინს 2019 წლის 19-21 ივნისში საქართველოს პარლამენტის ირგვლივ განვითარებული მოვლენების ირგვლივ (იხ. ქვემოთ).

---

[120] " საქართველოს წამყვანი ტელევიზია იცვლის მფლობელებს და ადანაშაულებს მთავრობას ბიზნესის მისაკუთრებაში." Eurasianet.org.ge. 18 ივლისი, 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3hLYspn

[121] "რუსთავი 2-ის დირექტორს ბრალდება წაუყენეს." On.ge, 9 აგვისტო, 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3nH4omH

[122] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი. დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და დასაქმების ბიურო „2019 წლის ქვეყნის ანგარიში ადამიანის უფლებებსა და პრაქტიკაზე: საქართველო." ხელმისაწვდომია https://bit.ly/2ZX4Unk

[123] "TV პირველის მფლობელის ოჯახის წევრის მიმართ დევნა აძლიერებს კითხვებს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებისა და შერჩევითი სამართლიანობის შესახებ." GDI. 22, აგვისტო, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2IQ5rSi

რუსეთის ოფიციალურმა პირებმა დაგმეს გაბუნია და კადიროვმა მოითხოვა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.[124] გაბუნიას გამოსვლა ასევე დაგმეს სახელწიფო მოხელეებმა საქართველოში და მიმართეს საერთაშორისო თანამეგობრობას ყურადღებით განეხილათ ეს საკითხი.[125] მედიის უფლებადამცველებმა საქართველოში გააკრიტიკეს მთავრობის მიერ გაკეთებული განცხადებები. [126]

ჟურნალისტების მიმართ არასათანადო მოპყრობა

2020 წლის არჩევნების შემდეგ, არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების დარბევის გაშუქებისას, 8 ნოემბერს,[127] დაშავდნენ ჟურნალისტები და დაუზიანდათ ტექნიკა. კოალიციამ "მედიის ადვოკატირებისათვის" მოუწოდა მმართველ გუნდს პატივი სცეს მოქალაქეთა შეკრებისა და მანიფესტაციების ჩატარების უფლებას და ჟურნალისტთა უფლებას დაუბრკოლებლად შეასრულონ პროფესიული საქმიანობა.[128]

2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციები რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატის სერგეი გავრილოვის საქართველოს პარლამენტში გამოჩენას და სპიკერის სკამის დაკავებას მოყვა. გავრილოვი საქართველოში მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შეხვედრის ფარგლებში იმყოფებოდა. დემონსტრაციის დაშლის შედეგად დაზიანდა 240 ადამიანი. მათ შორის, 40-მდე ჟურნალისტი. [129] სამოქალაქო სექტორი მოითხოვდა ჟურნალისტთა საქმეების გამოძიებას, თუმცა გამოძიება აქამდე არ დაწყებულა.

2019 წლის დეკემბერში, პარლამენტის დაცვის თანამშრომლებმა მოსთხოვეს ჟურნალისტებს შენობის დატოვება, როდესაც ისინი ცდილობდნენ გაეშუქებინათ პარლამენტის წევრებს შორის წარმოქმნილი დაპირისპირება მოსამართლეების დანიშვნის საკითხის განხილვისას. როდესაც ჟურნალისტებმა უარი თქვეს შენობის დატოვებაზე, დაცვის თანამშრომლებმა ხელის კვრით და ძალის გამოყენებით გააძევეს ისინი შენობიდან.[130] მედიის უფლებადამცველებმა დაგმეს ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების ფაქტი და მოუწოდეს პარლამენტის სპიკერს გამოეძიებინა ეს ინციდენტი.

მედიისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჩვეულებრივ ხასიათს ატარებს პოლიტიკოსებში. მთავრობის ზოგიერთი წევრი ცნობილია უხეში შენიშვნებით ჟურნალისტების

---

[124] "ჩეჩნეთის ლიდერი ამბობს, რომ ქართულმა ხელისუფლებამ ბოდიში უნდა მოიხადოს ტელეწამყვანის შეურაცხმყოფელი გამოსვლის გამო. ამბობს ჩეჩნეთის მეთაური." Tass. 9 ივლისი , 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kNflli

[125] „გიორგი გაბუნიას ლიკვიდაციას რამზან კადიროვის დაკვეთით გეგმავდნენ — გვარამია." On.ge.15 ივნისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3fgJyaV

[126] „კოალიცია: მივმართავთ მთავრობას გიორგი გაბუნიას ლიკვიდაციის მომზადებასთან დაკავშირებით დროული და დასაბუთებული ინფორმაცია გაასაჯაროონ." კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის. 16 ივნისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/36swrcd

[127] ნარიმანიშვილი ნინო (2020).„ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან მიმდინარე აქციის გაშუქებისას დაშავდნენ გადამღები ჯგუფები და დაზიანდა ტექნიკა." Mediachecker.ge. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2UteuuP

[128] კოალიცია „მედია ადვოკატირებისთვის" გამოვხატავთ მზადყოფნას მედიას მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით გავუწიოთ უფასო იურიდიული დახმარება. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2IvagRl

[129]"ჟურნალისტების მიმართვა საქართველოს მთავრობას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსს" საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. 21 ივნისი , 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2HhBDx9

[130] "საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანდიდატები დაამტკიცეს მიუხედავად მყრალი სუნის აეროზოლის გაშვებისა პარლამენტის შენობაში." On.ge. 12 დეკემბერი, 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3hLDQ0u

მიმართ (იხ. ქვემოთ), და არც ოპოზიციონერი პოლიტიკოსები წარმოადგენენ გამონაკლისს. 8 ნოემბერს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა გიგი უგულავამ აგრესიულად მიმართა ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტს.[131] 2019 წელს ასევე დაფიქსირდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წამყვანი პოლიტიკოსების მიერ ჟურნალისტების დამცირების რამდენიმე შემთხვევა.[132]

ჟურნალისტების მოსმენა

2020 წლის 29 ოქტომბერს, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ ხმამაღლა წაიკითხა განცხადება, სადაც მან ახსენა დიალოგი, რომელიც სავარაუდოდ გაიმართა „ტელეკომპანია პირველის“ ჟურნალისტსა და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს შორის ოზურგეთიდან (გურია).[133] ჟურნალისტმა ნატო გოგელიამ დაადასტურა, რომ სატელეფონო დიალოგი მართლაც შედგა. კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის“ მოუწოდა მმართველ პარტიას განმარტოს ჟურნალისტის სავარაუდო მოსმენასთან დაკავშირებული საკითხები და ასევე სამართალდამცავ ორგანოებს, რომ უზრუნველყონ მედიის საქმიანობაში ჩაურევლობა.

კრიტიკული მედიის დისკრედიტაცია და არასათანადო მოპყრობა

წამყვანი პოლიტიკოსების მხრიდან შეინიშნება კრიტიკული მედიისადმი ნდობის შერყევის აშკარა მცდელობა. 2020 წლის ივნისში, უსაფრთხოების სამსახურმა დაიწყო გამოძიება ოპოზიციურ მედიაკომპანია „მთავარ არხთან“ დაკავშირებით, თითქოსდა „საბოტაჟის“ მოწყობისთვის მოქალაქეთა განზრახ არასწორი ინფორმირების გამო.[134] „მთავარ არხს“ ბრალი დასდეს მარნეულის მაცხოვრებლებისგან აზერბაიჯანულ ენაზე ჩამორთმეული ინტერვიუს არასწორ თარგმანში. მოსახლეობის თქმით, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებმა და ექიმებმა მათ შესთავაზეს ფული, რათა Covid-19 დაესახელებინათ მათი ოჯახის წევრების გარდაცვალების მიზეზად. უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა თავის ანგარიშში, რომ ეს ინტერვიუები მოსახლეობაში იწვევდა შიშის გრძნობას და საფრთხეს უქმნიდა მთავრობის ეფექტურ მუშაობას. მათი განცხადების თანახმად, ეს სამართალდარღვევა ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318 -ე მუხლით, რაც გულისხმობს 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მთელი რიგი უკანასკნელი ინციდენტების და მათ შორის, ამ შემთხვევის მიმოხილვის შედეგად, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ აღნიშნავს, რომ 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში სიტუაცია მედიის უფლებების კუთხით „დამთრგუნველია“[135] კრიტიკა და ჟურნალისტებზე თავდასხმები ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ჩვეული მოვლენაა. ცოტა ხნის წინ მძევლების გათავისუფლების ოპერაციის ჩატარებისას, მმართველი პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა, ირაკლი კობახიძემ, გაკიცხა კრიტიკულად

[131] “ლომჯარია: უგულავას მიმართვა ჟურნალისტებისადმი არაეთიკური იყო, თუმცა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს არ გასცდენია.“ On.ge. 9 ნოემბერი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3nyHfTz

[132] ვახტანგიშვილი, ნატალია.(2019) “პოლიტიკოსები უტევენ მედიას.“ Mediachecker.ge. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2ZTktMM

[133] „ვითხოვთ სათანადო რეაგირებას ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე- მედიაკოალიცია.“ Mediachecker.ge. 29 ოქტომბერი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/32niL7M

[134] “უსაფრთხოების სამსახური იძიებს პრო-ოპოზიციური არხის საბოტაჟს.“ civil.ge. 26 ივნისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3hJtjTd

[135] “წინასაარჩევნო პერიოდში ზეწოლა ქართულ მედიაზე იზრდება.“ რეპორტიორები საზღვრებს გარეშე. 20 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/35PT6XN

განწყობილი მაუწყებლების მხრიდან ამ მოვლენის გაშუქება და განაცხადა, რომ ეს იყო „საგანგაშო“ და მათი ქმედებები „შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს“.[136] იმავდროულად, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მოითხოვა, მედიისგან სპეცოპერაციის ეთერში ჩვენების შეწყვეტა, თუმცა მისი მოთხოვნა არ შესრულებულა. მედიის უფლებადამცველები თვლიან, რომ მედიაზე პასუხისმგებლობის დაკისრება უსამართლო იყო, რადგან თავად სამართალდამცავებმა ვერ შეძლეს კომუნიკაციის სათანადოდ დამყარება ვერც ჟურნალისტებთან და ვერც საზოგადოებასთან. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის თავმჯდომარემ, მარიამ გოგოსაშვილმა განაცხადა, რომ მედიის დადანაშაულება და მოთხოვნა რომ შეწყვიტონ ეთერში მოვლენების გაშუქება „შემაშფოთებელ სიგნალებს იძლევა.“

პარტიის ქართული ოცნება წევრების მხრიდან კრიტიკის ძირითადი საგანი ტელეკომპანია „რუსთავი 2“ იყო (2019 წლამდე).[137] პარტიის თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა, 2018 წელს განაცხადა შემდეგი: „თუ „რუსთავი 2“- ს გამორთავთ დღეს, განახლებისა და პროგრესის მეტს ვერაფერს დაინახავთ ქვეყანაში.“[138] ჟურნალისტების მიერ დასმულ კრიტიკულ კითხვებს ასევე „პრო-ოპოზიციურ ნარატივად“ მოხსენიება არც თუ იშვიათია.[139] საქართველოს პარამენტის წევრმა გია ვოლსკი აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტს აკრედიტაციის შეჩერებით დაემუქრა.[140][141]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობილი ტელეარხი „იმედი“ მონაწილეობს „ნაციონალური მოძრაობის საწინააღმდეგო“ მესიჯების შედგენაში, რასაც მოწმობს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ბოლო საქმე. ქარტიის მიერ გამოქვეყნებული ვიდეოფირების მიხედვით,[142] „იმედის“ დირექტორი ნიკა ლალიაშვილი, რომელიც ასევე ცნობილია მისი მიკერძოებულობით მმართველი პარტიის მიმართ, ეუბნება მის თანამშრომლებს, რომ მაუწყებელს [იმედი] „მკაფიოდ ნაციონალური მოძრაობის საწინააღმდეგო პოზიცია აქვს“ და მოუწოდებს მათ დაარღვიონ ჟურნალისტური მიუკერძოებლობის პრინციპები და „მთავარ არხს“ და მის დირექტორს, ნიკა გვარამიას მოიხსენიებს ყველაზე დიდ მტრებად.

ჟურნალისტებს სთხოვენ დაასახელონ წყაროები

2020 წლის აგვისტოში, ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტი დაიკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროში იმ მიზნით, რომ დაესახელებინა წყარო, რომელმაც გაამჟღავნა ახლგაზრდა ქალის საიდუმლოებით მოცული გარდაცვალების დეტალები. ასევე, „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორიც დაიბარეს დაკითხვაზე, რათა მას გაემჟღავნებინა ინფორმაციის

---

[136] ნარიმანიშვილი, ნინო. (2020) “როგორ გახდა ზუგდიდის ინციდენტის გაშუქება კრიტიკულ მედიაზე შეტევის მიზეზი? ” Mediachecker.ge. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2G03Ok0

[137] “ირაკლი კობახიძემ რუსთავი 2 შეადარა რუსულ პროპაგანდისტულ არხებს.“ ტელეიმედი 16 ოქტომბერი , 2018. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3iWLHcs

[138] “თუ გამორთავთ რუსთავი 2-ს, დაინახავთ მხოლოდ პროგრესს ქვეყანაში-ივანიშვილი.“ netgazeti.ge. 23 ოქტომბერი, 2018. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34p2Tml

[139] 2019 წლის ნოემბერში, ირაკლი კობახიძემ უთხრა პოლიტიკური თოქშოუს წამყვანს ტელეკომპანია პირველზე, რომ იგი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით საუბრობდა. 19 ნოებერი, 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3onRLOP
ტვ პირველის ჟურნალისტის ინტერვიუმ დირექტორის დაავადებათა ეროვნული კონტროლის ცენტრის დირექტორთან, რომელიც ეთერში 28 მარტს გავიდა, ძლიერი კრიტიკა გამოიწვია ჟურნალისტის მიართ. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2QdifCM

[140] “პოლიტიკოსების თავდასხმა მედიაზე.“Mediachecker.ge 25 ნოემბერი , 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3pS7PJm

[141] “ქართული ოცნების მიერ აჭარის ტელევიზიის ხელში ჩაგდების მცდელობის ქრონოლოგია.“ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო 23 ივნისი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2FR54WD

[142] “ქარტია: ტელეიმედის დირექტორი ჩაერია ჟურნალისტთა სარედაქციო დამოუკიდებლობაში.“ Civil.ge. 9 ოქტომბერი 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/34etx1l

წყარო სხვა გახმაურებულ დანაშაულთან დაკავშირებით.[143] მაშინ როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნალისტი არ არის ვალდებული გაამჟღავნოს ინფორმაციის წყარო.

ფიზიკური შეურაცხყოფა

არასამთავრობო ორგანიზაციები შეშფოთებას გამოთქვამენ არჩევნების დღეს, 2020 წლის 30 ოქტომბერს, ჟურნალისტებზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტებით და იმით, რომ სათანადოდ ვერ მოხდა მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. რამდენიმე ჟურნალისტი დაშავდა და შესაბამისად ხელი შეეშალა მათ საქმიანობას არჩევნების გაშუქების პროცესში. ერთ შემთხვევაში ონლაინ გამოცემა „Publika.ge"-ს ჟურნალისტს თავს დაესხა მამაკაცი გლდანის საარჩევნო უბანზე. დაზიანდა ჟურნალისტიც და მისი კამერაც. თავდაპირველად გამოძიება არ დაწყებულა სისხლის სამართლის კოდექსის 154 - ე მუხლის თანახმად, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტის საქმიანობის უკანონოდ ხელის შეშლა დასჯადია, არამედ დაიწყო ამავე კოდექსის 184-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც მხოლოდ ობიექტის დაზიანებას შეეხება. მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მწვავე კრიტიკის შემდეგ გახდა შესაძლებელი 154-ე მუხლის დამატება.[144] იმავე დღეს „ტელეკომპანია პირველის" ჟურნალისტს მისივე განმარტებით სავარაუდოდ, დაპირისპირების დროს სახეში კამერა მოხვდა გლდანის საარჩევნო უბანზე.[145] ონლაინ გამოცემა „on.ge" ჟურნალისტის კამერას ხელი ჩაარტყა და საქმიანობაში ხელი შეუშალა პარტია „ევროპული საქართველოს" წევრმა, რომელიც იარაღით გადაადგილდებოდა მარნეულის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე.

2020 წლის 8 ნოემბერს, საპროტესტო აქციის გაშუქების დროს, ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტს თავს დაესხა უცნობი მამაკაცი, ყელში სწვდა და მის დახრჩობას ცდილობდა, ნათქვამია ტელეკომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამავე განცხადების თანახმად, ტელეკომპანიის მეორე ჟურნალისტს საპროტესტო აქციის მონაწილეები მუშაობისას შეურაცხყოფას აყენებდნენ.[146] ჟურნალისტებზე ფიზიკური თავდასხმის ფაქტები წინასაარჩევნო პერიოდშიც დაფიქსირდა. „მთავარი არხის" და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებს და ოპერატორებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა 2020 წლის 29 სექტემბერს, საღამოს, მარნეულში, როდესაც ისინი აშუქებდნენ წინასაარჩევნო კამპანიას. როგორც ამბობენ, თავდასხმა „ყოველგვარი მიზეზის გარეშე," დაიწყო, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტი შეეცადა ჩაეწერა მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების" წევრები.[147] სამართალდამცავებმა განაცხადეს, რომ მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით.
2020 წლის იანვარში თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში მთავარი არხის დირექტორს თავს დაესხა რამდენიმე ადამიანი, რის შედეგადაც მან მიიღო ფიზიკური დაზიანება.

2020 წლის აპრილში, ქუთაისის სამების ეკლესიის წინამძღვარმა გაავრცელა ვიდეო მიმართვა, რომელშიც იგი მოუწოდებდა მრევლს დაეჭირათ „მთავარი არხის" ჟურნალისტი და გაეკოჭათ იგი მას შემდეგ, რაც მან კრიტიკულად გააშუქა ბზობის დღესასწაულის ჩატარება COVID-19-ის

---

[143] "ფართოდ ვრცელდება საგამომძიებლო ორგანოების პრაქტიკა მოსთხოვონ ჟურნალისტებს წყაროების დასახელება". საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 11 აგვისტო, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3iOb4NY
[144] გუგულაშვილი მაგდა (2020) "პუბლიკის" ჟურნალისტის საქმეს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის მუხლი დაემატა." Mediachecker.ge. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3jOldK9
[145] Ibid
[146] „ტელეკომპანია იმედის განცხადება." 9, ნოემბერი, 2020. https://bit.ly/3pFi9Ev
[147] "ოქტომბრის არჩევნები: მარნეულში თავს დაესხნენ ჟურნალისტებს და ოპერატორებს" civil.ge. 29 სექტემბერი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3jvBtAF

პირობებში. კოალიცია "მედია ადვოკატირებისთვის“ განმარტავდა, რომ საქმე შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს და სამართალდამცავებს ეფექტური გამოძიებისაკენ მოუწოდებდა. [148]

დაშინება

2020 წლის აგვისტო-სექტემბერში, ჩატარდა საპროტესტო აქციები პანკისის სათემო რადიოსა და მისი დამფუძნებლის, გელა მთივლიშვილის წინააღმდეგ სოფელ დუისში, სადაც აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ რადიოს შეეწყვიტა მაუწყებლობა. აქციის მონაწილეები იმუქრებოდნენ რომ ისინი ძალით გამოიყვანდნენ ჟურნალისტებს რადიოსადგურიდან, თუ ისინი თავად არ გამოვიდოდნენ. პანკისის რადიოს წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ამ არეულობის უკან პარტია ქართული ოცნება და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურები იდგნენ. პანკისის რადიოს ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, პროტესტი უკავშირდებოდა რადიოს მიერ გაკეთებულ კრიტიკულ რეპორტაჟს მთავრობის საქმიანობის შესახებ პანკისი ხეობაში.[149]

2020 წლის 14 ოქტომბერს, ახალქალაქის მერი დაემუქრა ონლაინ გამოცემა „სამხრეთის კარიბჭეს“ ჟურნალისტს, რომ დაუმტვრევდა კამერას თუ არ წაშლიდა მის ფოტოს, რომელიც გადაღებული იყო ეკლესიაში ქადაგების დროს. მუქარას თან ახლდა ლანძღვა-გინებაც.[150]

2020 წლის 21 ოქტომბერს ბიზნესმენმა და ტელეკომპანია *პირველის* დამფუძნებლის მამამ განაცხადა, რომ მას მიუახლოვდა რამდენიმე ადამიანი საზოგადოებრივ ადგილას, რომლებიც მას შემდეგი სიტყვებით დაემუქრნენ „თუ შენი ტელეარხი არ შეწყვეტს მუშაობას, მაშინ ჩვენ თვითონ მოგივლით.“[151] ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მოუწოდა სამართალდამცავებს უზრუნველყონ დროული და ეფექტური გამოძიების ჩატარება.

მედიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და მისი განხორციელება

მედიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა სქართველოში სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესოა. სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ ქმედებებისთვის, რომლებიც ხელს უშლის ჟურნალისტს მისი პროფესიული მოვალეობის შესრულებაში. თუმცა, წლების მანძილზე კანონის არასწორად გამოყენება, გახანგრძლივებული გამოძიება, უგულებელყოფა მოწოდებისა გამოიძიონ საქმეები, რომლებიც ჟურნალისტთა მიმართ დანაშაულებრივ ქმედებებს ეხება, აფერხებდა კანონის ჯეროვნად აღსრულებას და ქმნიდა დაუსჯელობის განცდას.

გამოძიების დროს არ ხდება 154-ე მუხლის გამოყენება; მის ნაცვლად უმეტესად გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის სხვა ისეთი მუხლები, რომლებიც ფიზიკურ თავდასხმებთან ან

[148] “სამღვდელო პირის განცხადება ირაკლი ვაჩიბერიძის შეპყრობის შესახებ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.“ მედიის ადვოკატირების კოალიცია. 18 აპრილი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/33JT553

[149] “პანკისის რადიო აცხადებს, რომ ‘საფრთხე ემუქრება’ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან.” Georgia Today. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3ceOqf8

[150] “რაბათში მერი ფოტოების გადაღებამ გააღიზიანა, მოქალაქეები ჩვენს ჟურნალისტს დაუპირისპირდნენ — სამხრეთის კარიბჭე.” On.ge. 14 ოქტომბერი, 2020 ხელმისაწვდომია https://bit.ly/3kMnOEP

[151] “ტელეკომპანია პირველის დამფუძნებელი აცხადებს, რომ მმართველი პარტია ემუქრება მის მამას არხის დისკურსის გამო.“ Jam-news. 22 ოქტომბერი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3jjfThG

მუქარასთან არის დაკავშირებული. ეს იმიტომ, რომ არ მოხდეს ასეთი შემთხვევების კვალიფიცირება, როგორც სიტყვის თავისუფლების შელახვის საქმეების. [152]

დასკვნა

მთავრობა თვალს ხუჭავს ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტებზე, რის გამოც ეს საქმეები რჩება გამოუძიებელი. უფრო მეტიც, მთავრობა, რომელიც გაურბის კრიტიკას, ხშირად ცდილობს მიჩქმალოს მედიის შევიწროების ფაქტები. ეს კი ქმნის დაუსჯელობის ატმოსფეროს და დაუცველს ხდის ჟურნალისტურ საქმიანობას.

ამასთან ერთად, ჟურნალისტის შესაძლო მკვლელობის საქმე გვკარნახობს, კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ საერთაშორისო პარტნიორებს საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად უფრო აქტიურად მოქმედების შესაძლებლობები განიხილონ.

[152] მედიის მდგრადობის ინდექსი საქართველოში, 2017. IREX. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2EioliJ

მიმოხილვა #5: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - გადაუჭრელი პრობლემა ქართველი ჟურნალისტებისთვის

მოკლე შეჯამება

ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა აბრკოლებს კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიის მუშაობას. მთავრობის წარმომადგენლები ხშირად უარს ეუბნებიან კრიტიკულ საინფორმაციო საშუალებებს ინტერვიუს მიცემაზე და საჯარო პირები სირთულეებს უქმნიან კრიტიკულ მედიას საჯარო ინფორმაციის მოპოვების პროცესში. პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება COVID 19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც ჟურნალისტებს უწევთ მეტი ბრძოლა ინფორმაციის მისაღებად.

კონტექსტი

ინფორმაციის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. ნორმები და შეზღუდვები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ გაწერილია სხვადასხვა კანონებსა და სამართლებრივ ნორმებში. ძირითად სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციაზე წვდომას, წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს. 2014 წელს, იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით, სამოქალაქო ორგანიზაციებმა მოამზადეს კანონპროექტი „ინფორმაციის თავისუფლების აქტი“, თუმცა მისი ინიცირება მთავრობამ არ მოახდინა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველომ გაიღო ძალისხმევა მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად. ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში (OGP)[153] აღებულ ეროვნულ ვალდებულებებს შორის არის მთავრობის ციფრული გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა, ყველა დაინტერესებული მხარისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით მიღების შესაძლებლობა. მიუხედავად მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საჯაროობის ოფიციალური მექანიზმების არსებობისა, საჯარო ინფორმაციის გამჟღავნების პრაქტიკაში სერიოზული ხარვეზები შეინიშნება.
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), რომელიც ახორციელებს მონიტორინგს საჯარო ინფორმაციის გავრცელებაზე, ბოლო ანგარიშში აღნიშნავს, რომ „2013 წლიდან საქართველოს მთავრობას არ გადაუდგამს სერიოზული ნაბიჯები ინფორმაციის პროაქტიული გამჟღავნების სტანდარტების გასაუმჯობესებლად.“[154] იმავე ანგარიშის თანახმად, სიტუაცია გაუარესდა მას შემდეგ, რაც დააწესეს შეზღუდვები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე COVID19-ის პანდემიის დროს გაზაფხულზე საგანგებო მდგომარეობის შემოღებისას.

ჟურნალისტთა უფლება საჯარო ინფორმაციაზე წვდომისა და სახელმწიფო მოხელეებისგან ინფორმაციის მიღებისა, წლების მანძილზე შეზღუდულია. საჯარო უწყებების მიერ ინფორმაციის გაცემა ჭიანურდება, ხშირად ცდება კანონით დადგენილ ვადებს, ჟურნალისტებისთვის მიწოდებული მონაცემები ხშირად არასრულია ან საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა

[153] ღია მმართველობის პარტნიორობა. ხელმისაწვდომია https://bit.ly/32ns1ZA

[154] ავალიშვილი, ლევან; კლდიაშვილი, გიორგი; თუშურაშვილი, გოგა და თოფურია, ქეთი. (2020) “საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამჟღავნება ქართული საჯარო ინსტიტუტების ვებსაიტებზე.” IDFI. ხელმისაწვდომია https://bit.ly/371DJfj

შენიღბულია პირადი მონაცემების დაცვისა თუ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მიზეზით.[155]

ბოლო პერიოდის გამოწვევები ჟურნალისტებისთვის

კრიტიკულ და დამოუკიდებელ მედიაში მომუშავე ჟურნალისტებისთვის და ონლაინ საინფორმაციო საშუალებებისთვის ინფორმაციაზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. ონლაინმედიისაგან განსხვავებით, მაუწყებლებისთვის შედარებით ადვილია ყოველდღიური ახალი ამბების მოსამზადებლად ინფორმაციის მოპოვება. თუმცა, როდესაც საჭირო ხდება ინფორმაცია საგამოძიებო სიუჟეტებისთვის გარკვეულ თემებზე, რომლებიც საზოგადოებისთვის არ არის გამჟღავნებული, სახელმწიფო მოხელეები და ინსტიტუტები ცდილობენ გაართულონ ინფორმაციის მოპოვების პროცესი.

Covid 19-ის აფეთქებამ და მისმა უარყოფითმა გავლენამ ქვეყანაზე გაზარდა მოქალაქეთა დამოკიდებულება საინფორმაციო საშუალებებზე. ინფორმაციის დეფიციტი ჟურნალისტებისთვის ქმნის ინფორმაციულ ვაკუუმს მოქალაქეებისათვის. ზოგიერთი ჟურნალისტი ამბობს, რომ თითქმის შეუძლებელია სანდო და დეტალური ინფორმაციის მოპოვება ისეთ თემებზე, როგორიცაა მთავრობის კრიზისის მართვის სტრატეგია, ჯანდაცვის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა, შინ მყოფი პაციენტების მართვა, ამომრჩეველთა უსაფრთხოების დაცვა არჩევნების დღეს, და სხვა მრავალი. რეგიონალური ჟურნალისტების ცნობით, ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად მათ უარს ეუბნება COVID 19-თან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის გაცემაზე და ამისამართებს ეროვნულ უწყებებთან.

წინასაარჩევნო პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ონლაინმედიის საჭიროებების უგულებელყოფა, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და კომენტარზე უარის თქმა სამთავრობო უწყებების მიერ. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის კომუნიკაციების სამსახური იმათ შორისაა, რომლებთანაც, როგორც ზოგიერთი ონლაინმედიის წარმომადგენელი ამბობს, რთულია კომუნიკაცია. ზოგიერთი ჟურნალისტის თქმით, კომუნიკაციების სამსახური არ პასუხობს მათ სატელეფონო ზარებს და ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ შეტყობინებებს, ან მათ მიუთითებენ, რომ ინფორმაცია მიიღონ ტელევიზორიდან.

ინფორმაციის დაკავების პრობლემა აგრეთვე დაკავშირებულია გარკვეულ საჯარო და სახელწიფო უწყებებთან. ტრადიციულად, ყველაზე რთულია ინფორმაციის მიღება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან. ზოგი ჟურნალისტის თქმით, საჯარო მოხელეებს ცუდად ესმით ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობა და ის ფაქტი, რომ ინფორმაციის თავისუფლება საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. რეგიონალურ ჟურნალისტებს, ზოგადად, აქვთ ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეებთან კომუნიკაციის პრობლემა და წინასაარჩევნო პერიოდიც არ არის გამონაკლისი.

მმართველი პარტიის წევრების მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა კიდევ ერთი მუდმივი პრობლემაა. ამ დროს ასევე ხშირად ჩნდება ჟურნალისტების არასათანადო მოპყრობის და მათ მიმართ აგრესიის საკითხიც (იხ. ჟურნალისტთა უსაფრთხოება) ხელისუფლების წევრებისა და

[155] მედიის მდგრადობის ინდექსი, საქართველო. 2014, 2015, 2016, 2017, 2018 & 2019. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3iT6OvL

პოლიტიკოსების მხრიდან. მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდში, აჭარაში, ხელვაჩაურის მერმა უცენზურო სიტყვებით მიმართა ონლაინ გამოცემა „გაზეთი ბათუმელები“- ს ჟურნალისტს სამსახურის მანქანის არამიზნობრივად გამოყენებისა და წინასაარჩევნო შეხვედრაში მონაწილეობის თაობაზე დასმული შეკითხვის გამო.[156] კანდიდატები მმართველი პარტიიდან გაურბიან კრიტიკული მაუწყებლების მიერ გამართულ ტოკშოუებში მონაწილეობას. წლების განმავლობაში, მმართველი პარტიის წარმომადგენლები შორს იჭერდნენ თავს ოპოზიციურად განწყობილი არხის „რუსთავი 2“ -ში ან სხვა რომელიმე კრიტიკულ ტელეკომპანიაში მისვლისგან. დღე ისინი უარს ამბობენ „მთავარ არხთან“, „ფორმულასთან“, „ტელეკომპანია პირველთან“ და ასევე „კავკასიასთან“ თანამშრომლობაზე. შედეგად, ეს ტელეკომპანიები დიდ სირთულეებს აწყდებიან, რათა დააკმაყოფილონ პოლიტიკური დებატების ჩატარების სავალდებულო მოთხოვნები, სადაც თუ ყველამ არა, კანდიდატების უმეტესობამ მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნების წინ (იხ. თავი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესახებ). საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ანგარიშის თანახმად,[157] პარტია „ქართული ოცნება“ თავს არიდებდა 2020 წლის წინასაარჩევნო დებატებში მონაწილეობას თითქმის ყველა ოპოზიციისკენ გადახრილ არხზე. იმავე ანგარიშის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი იმ მცირე არხთაგანი იყო, სადაც მმართველი პარტიის წარმომადგენლები დებატებში იღებდნენ მონაწილეობას.

საკითხები, რომლებიც შესაძლოა პრობლემატური გახდეს მთავრობისთვის, მიუწვდომელია ჟურნალისტებისთვის. COVID 19-ის კრიზისის პერიოდში და იმ დროს, როდესაც ქვეყნის ინტერესი დისტანციური სწავლებისა და სწავლის მიმართ გაზრდილია, ზოგი ჟურნალისტი ამბობს, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ასევე ხელმიუწვდომელია. ისინი აცხადებენ, რომ მათი მოთხოვნები ინფორმაციის მიღებაზე ონლაინ და ინკლუზიური განათლების შესახებ COVID 19-ის პერიოდში უგულებელყოფილი იყო. ახლახან, სამინისტრომ ერთ-ერთ მედიაორგანიზაციას მიაწოდა არასრული ინფორმაცია საჯარო სკოლის დირექტორების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.[158] ჟურნალისტთა განმეორებით შეკითხვებზე სამინისტროს წარმომადგენლებს არ უპასუხიათ.

„ტელეკომპანია პირველმა“ ეთერში გაუშვა საგამოძიებო სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა თბილისის მერის ოჯახის ფეშენებელურ ავტომობილს. მალევე შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემოიღო ცვლილებები ოფიციალურ დებულებაში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ და შეზღუდა უფლებამოსილების ორგანოები, რომელთაც შეუძლიათ მოითხოვონ საჯარო ინფორმაცია თანამდებობის პირების მფლობელობაში არსებული ავტომობილების სამართლებრივი სტატუსის შესახებ.[159]

გამომძიებელ ჟურნალისტებს რთული ბარიერების გადალახვა უწევთ ინფორმაციის მოსაპოვებლად. გამომძიებელ ჟურნალისტთა მცირე ჯგუფი „სტუდია მონიტორში“ ამბობს, რომ ექვსი მოთხოვნიდან, რომელიც მათ გააგზავნეს მუნიციპალურ თუ სამთავრობო უწყებებში, მხოლოდ ორი იქნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებული. დანარჩენი უპასუხოდ დარჩა. ამგვარი პრაქტიკა ზეგავლენას ახდენს გამომძიებელ ჟურნალისტთა მუშაობის ხარისხსა და სანდოობაზე.

---

[156] “ხელვაჩაურის მერი უცენზური სიტყვებით აგინებს „ბათუმელების“ ჟურნალისტს.” რადიო თავისუფალ ევროპა. 13 ოქტომბერი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/31aLqfI

[157] “საარჩევნო მისიის არჩევნების ტექნიკური შეფასება: საქართველო 2020 პარლამენტის წინასაარჩევნო ანგარიში.“ IRI, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/2IbLt4e

[158] “რა შეკითხვები ჩნდება საჯარო სკოლების დირექტორების გათავისუფლებასთან დაკავშირებით.“ Publika.ge. 10 სექტემბერი, 2020. ხელმისაწვდომია https://bit.ly/313DtbM

[159] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია https://bit.ly/37pzieu

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეები ყველაზე მეტად საჭიროებდნენ ინფორმაციის მიღებას და დაკვალიანებას არჩევნების წინ და COVID 19-ის პერიოდში, როგორც ვხედავთ არ გამოვლენილა საკმარისი პოლიტიკური ნება მთავრობის მხრიდან მედიასთან კომუნიკაციის დროულობის და ეფექტურობის გაუმჯობესების კუთხით. საჯაროობისა და გამჭვირვალობისთვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის არსებობის მიუხედავად, როგორც ჩანს, სახელმწიფო მოხელეებს სათანადოდ არ აქვთ გააზრებული თუ რას ნიშნავს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება.

Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

კოალიციის წევრი ორგანიზაციები

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ლიბერალური აკადემია- თბილისი

მედიაკლუბი

რეგიონული მაუწყებლების ალიანსი

საქართვლეოს ეთიკის ქარტია

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია

სატელევიზიო ქსელი

საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორთა ასოციაცია

ღია საზოგადოების ფონდი